K 121 811
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8-93:84-34

ვალერიან ოდიშელიძე

ფრინველი ოქროსფერი

118.121
3

«ნაკადული»
19 თბილისი 66

Г2
899.962.1-93
ა 183

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სეგ-2000
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხნო და ჯამაათნო!

იყო და არა იყო რაო... ამქვეყნად ყოველი ზღაპარი ასე დაწყებულა და მეც სწორედ ასე მინდოდა დამეწყო, მაგრამ თქვენ უთუოდ მეტყოდით: ისეთი რა უნდა ყოფილიყო, ყურით არ მოგვესმინოს, თვალით არ გვენახოს და გაგვკვირვებოდესო?

ის, რაც აქ მინდა გიამბოთ, შესაძლოა, მართალი იყოს, შესაძლოა, არც იყოს მართალი, მაგრამ ამის გამო ნუ გამკილავთ. როგორც თქვენ ხშირად იტყვით ხოლმე: ჩემი ხნის კაცს სიზმარიც კი დაეჯერება. რაკი ასეა, ნურც იმას მკითხავთ, ძველია თუ ახალი ყოველივე აქ მოთხრობილი.

იქნებ ძველი და შორეული ამბავი იყოს, ჩემს თვალწინ მომხდარი, იქნებ სულაც არ მომხდარა და გონებამახვილმა კაცმა გამოიგონა ბრიყვთათვის ჭკუის სასწავლებლად.

ვერ დავფიცავ, იქნებ ასეც იყოს!

თქვენ ყოველივე გულდასმით მოისმინეთ და მერე გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. განა ყველაფერი დასაჯერებელია, რაც მოგისმენიათ? მე მითქვამს და ახლაც ვამბობ: ყოველივე იმისაგან, რაც დღემდე მოგისმენიათ, ათასში ერთი თუ დაგიჯერებიათ, ბარაქალა თქვენ! მთქმელსაც მადლობა ეთქმის და გამგონესაც. ჩემს მიერ მოთხრობილი ამბავი გინდ ზღაპრად ჩათვალეთ და გინდ ქარაგმად. სხვებსაც უამბეთ. მერე იმ სხვებმა სხვებს უამბონ, იმ სხვებმა კიდევ — სხვებს და ასე — იაროს თაობიდან თაობამდე, თუ, რასაკვირველია, სიცოცხლე უწერია! ჟამთა სვლაში იქნებ ვინმე ჩაუფიქრდეს, გონივრული აზრის ნამცეცი იპოვოს და მადლობით მოგვიხსენიოს!

ჰოდა, ხალხნო და ჯამაათნო, თქვენც რა გენაღვლებათ, ჭირნახული უკვე დაბინავებულია, საქმე მაინც არაფერი გაქვთ. ახლა ცივი

ზამთარია. გულის გამწყალებელი ქარბუქი, ყინვა და თოში ზარავს ქვეყანას. ისეთი პირქუში ღამეა, ძაღლსაც კი არ გააგდებენ კარში. სწორედ ზღაპრის ალოა. დავჯდეთ და ვიმუსაიფოთ. მე შენ გეტყვი, მოსაყოლი შემომელევა! სად არ ვყოფილვარ, რა ჯურისა და ჯილაგის ხალხს არ შევხვედრივარ ამ ცისქვეშეთში. კარგიც ბევრი მინახავს და ავიც; აბა, ვინ მოთვლის, ვისთან სად გამიტეხია პური, რამდენი რამ მომისმენია: უბეში გამოსაკრავიცა და ერთიდან მეორე ყურში სწრაფად გასაშვებიც. ზოგი ამისაგან გამიგონია, ზოგიც — იმისაგან. ჩემი დღე და წუთისოფელი ასე მოვდივარ, მომიხარია, რადგან ბევრი რამის მომსწრე და მნახველი გახლავართ.

ახლა, როგორც ხედავთ, მოტეხილი ვარ, ჯორკოზე ვზივარ აგერ, კერიის პირას, და გრძელტარიან ყალიონს ვაფუვლებ. ზედ მოზრდილი ნაკვერჩხალი მიდევს, ცერს ვაჭერ და ვქაჩავ და ვქაჩავ, თანაც ზღაპრის სათქმელად ვემზადები...

ჰოდა, მეზობლებო და კეთილებო, დედაკაცებო და მამაკაცებო, მოზრდილებო და ბალღებო, რა გენაღვლებათ, მივუსხდეთ კერიის პირას, მივეფიცხოთ ცეცხლს და მოვკლათ ამ ცივი ზამთრის გრძელი ღამე!

აბა, ჰე, ვიწყებ. სმენა იყოს და გაგონება!



ეროვნული ბიბლიოთეკა

მელია და ცხვარი

იყო და არა იყო რა...

შორს, სადღაც უდაბურ ტყეში, ცხოვრობდა ერთი წუწკი მელია.

ერთხელ, როცა მზემ მაღლა წამოიწია, მელიამ თავის მელუკებთან თამაშით გული იჯერა, ბუნაგიდან გამოვიდა და სოფლისაკენ გაუდგა გზას, იქნებ ბედს ვეწიოო.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა სოფელს, ერთ ბოსტანს ღობე-ღობე აჰყვა, გამონგრეული ადგილი მოძებნა და შიგ შეიხედა. მელიას სიხარულისაგან ელდა ეცა.

ასეთი წარმტაცი სურათი მანამდე არასოდეს ენახა.

ხავერდოვანი მოლით მოფენილ ეზოში ქათმები ჯარად გამოშლილიყვნენ; ზოგი მარცვალს კენკავდა, ზოგიც ბალახს წიწკნიდა. ქათმებში ჩამდგარ მამალს თავი მაღლა აეღო, ცალი თვალი ცისთვის მიეპყრო, ხანგამოშვებით აქეთ-იქით იხედებოდა და გაოცებული იძახდა:

— კო-კო-კო!..

მელიამ ერთ ხანს ეჭვიანად უყურა, ხომ არ შემამჩნიაო. მერე, როცა მამალმა წინ გაალაჯა და ნისკარტი ღონივრად ჩაჰკრა მიწაში, მელია დამშვიდდა და ქათმებს მსუნაგად

მიაჩერდა, რომელია ყველაზე მსუქანიო. უყურა და უყურა დედლებს. ამასობაში თვალი აუჭრელდა, კბილები აუკაწკაწდა. ისედაც მოშიებული იყო და ახლა სულ აეწვა კუჭი. უნდოდა გამოვარდნილიყო და რომელიმე დედალს დასტაკებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. უფრო მოხერხებულ წუთს ელოდა. ნატვრა მალე შეუსრულდა: ღობის ცოტა მოშორებით ერთმა ნაცარა დედალმა ნისკარტი რამდენჯერმე ჩაჰკრა საქონლის ნეხვზე ამოსული შავი ბალახის ძირს, მერე ბაჯბაჯით უკან დაიხია და ნაწვიმარი მიწიდან ცერის სიმსხო გრძელი ჭია ამოიწელა.

ნაცარა ჭიის გადაყლაპვას აპირებდა, რომ მას თვალი მოჰკრა მახლობლად მოკაკანე შავმა დედალმა. დედალი უმალვე ნაცარასკენ გაექანა, ალბათ იფიქრა, ჭიას წავართმევ და მე თვითონ გადავსანსლავო.

ნაცარა მიუხვდა, აიფოფრა, ადგილს მოსწყდა და მოკურცხლა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. მას შავი დედალი დაედევნა. ორივე ქათამი იქით მირბოდა, სადაც მელია ჩასაფრებულიყო.

მელიამ თავი წამოსწია, მოახლოებული დედლების დანახვაზე თვალები მოწკურა და, როცა ნაცარამ ღობესთან მიირბინა, ელვის სისწრაფით ისკუპა და პირი დაავლო.

საბრალო ნაცარას ჭია გაუვარდა. აკრიახდა, მიშველეთო. დანარჩენ ქათმებს გული გადმოუტრიალდათ, კენკვას თავი მიანებეს, ფრთა ფრთას შემოჰკრეს და ოდის ქვეშ შეძვრნენ.

მამალი გვიან მოეგო გონს. როცა დამფრთხალი ქათმების კაკანი შემოესმა, თვითონაც მიანება თავი კენკვას, თავი მაღლა ასწია და მრისხანედ მიიხედ-მოიხედა.

ირგვლივ არც ერთი ქათამი აღარ ჩანდა.

მამალი შეფიქრიანდა. ჯერ ადგილიდან ნელა დაიძრა, მერე ნაბიჯს მოუმატა, ბოლოს გაქცევაც იკადრა და „კოკოს“ ძახილით თვითონაც ოდის ქვეშ შეფრთხიალდა.

ბუჩქებში მიმალულმა მელიამ ნაცარას კისერი უმალვე წააწყვიტა.

სისხლში მოსვრილი საბრალო ნაცარა ფეხებს ასავსავებდა, მიწაზე ფართხალებდა და მელიას მტვრით უვსებდა თვალებს.

მელიამ ორივე თათი მაგრად დააჭირა დედალს, მიიხედ-მოიხედა, უცაბედად თავზე არავინ წამომადგესო, მცირე ხანს ასე იყო, მერე, რაკი დარწმუნდა, ხიფათი არსაიდან მომელისო, ნაცარა შუაზე გაბდღვნა და მადიანად შეექცა.

კარგად გამომძღარმა სისხლიანი ტუჩები მოილოკა და ისევ ბუჩქებს აედევნა.

მიცუნცულებდა მელია, დროდადრო შედგებოდა, გარემოს მიაყურადებდა და ისევ გზას განაგრძობდა.

იცუნცულა, იცუნცულა და სოფლის ორღობეს რომ გასცდა, შორიდან რაღაცას მოჰკრა თვალი. გული აუძგერდა, უმალვე გვერდზე მიდგა, ბუჩქებს ამოეფარა, კისერი წაიგრძელა და დაკვირვებით მიაცქერდა მომავალს.

— ჰმ, ცხვარი ყოფილა! — გაეცინა მელიას. — მე კი შიშისაგან კინაღამ გული გამისკდა.

მელია დამშვიდდა და წასვლა დააპირა, მაგრამ მერე შედგა:

— მართალია, ცხვარი უწყინარი ცხოველია, რა უნდა დამაკლოს, მაგრამ უცხო თვალმა მაინც რატომ უნდა მნახოს ამ დროს სოფლიდან მიმავალი? სიფრთხილეს თავი არ ასტკივა! — გაიფიქრა მან.

მელიას ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა. იქვე თხრილზე გადმოქოჩრილ ბუჩქის ძირას მიიმალა და გაინაბა.

ცხვარს გავატარებ და მერე გავუდგები გზასო, — გადაწყვიტა მან.

მინდვრიდან მომავალი გამძღარი ცხვარი შინისაკენ არხეინად მიბაკუნობდა.

— მე-მე-ე! — დაიპეტელა ცხვარმა.

მელია მიხვდა, რომ ცხვარი ახლოს იყო, თან მისი ნაბიჯების ხმაც მკაფიოდ მოესმა. გაიხედა და ცხვრის კოხტა ფეხებსაც მოჰკრა თვალი. გულმა ძგერას უმატა.

აი, მთლად მიუახლოვდა ცხვარი, ზედ ცხვირწინ ჩაუარა მელიას. ცხვრის სუნი რომ ეცა, — მელიას პირზე ნერწყვი მოადგა, ყურები სცქვიტა და მსუნაგად გააყოლა თვალი ბაკაბუკით მიმავალ ცხვარს.

ცხვარი კი ლამაზად მიიქნევდა ჩასუქებულ დუმას. მელიას მეტისმეტი ნდომისაგან კინაღამ რეტი დაესხა. უმალვე ტუჩები მოილოკა. სულმა წასძლია, განზრახვა შეცვალა და იმის მაგივრად, რომ ტყისკენ წასულიყო, ფეხაკრეფით აედევნა ცხვარს. ისე გულდაგულ მისდევდა, ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა და, რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო უძლიერდებოდა დუმის ჭამის სურვილი.

აი, მელია წამოეწია კიდეც ცხვარს, პირდაღებული მიაჩერდა და კბილები ისე აუკაწკაწდა, თითქოს მთელი კვირის უჭმელი ყოფილიყოს.

„ასე სანამდე უნდა ვდიო? მოდი, დავეტაკები და დუმას მოვაგლეჯ! — გაიფიქრა და ნახტომისათვის შეემზადა, რომ სწორედ ამ დროს ცხვრის კაუჭა რქებს მოჰკრა თვალი და, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა, — ვთქვათ, ერთი დატაკებით ვერ მოვაგლიჯო ამოდენა დუმა, გაბრაზებული ცხვარი შემომიბრუნდეს, მუცელში ამომკრას რქები და გამომფატროს, მაშინ რაღა მეშველება? მაშინ ხომ ვერც დუმას შევჭამ და მელუკებიც დამიობლდებიან!“

მელია საგონებელში ჩავარდა. ხელი კინაღამ აიღო განზრახვაზე, მაგრამ მსუქან დუმას თვალს მაინც ვერ აშორებდა. დიდხანს სდია ცხვარს და თან გზადაგზა ფიქრობდა: „დავეტაკო თუ არა, დავეტაკო თუ არაო“.

უცებ ახალმა აზრმა გაუელვა თავში:

„ეს დუმა ისე ქანქალებს, საცაა მოსწყდება კიდეც და ძირს ჩამოვარდება. მაშინ დავავლებ პირს და მოვკურცხლავ, მეც ჩავიგემრიელებ პირს და ჩემს მელუკებსაც გავახარებ!“

ეს აზრი ძალიან მოეწონა. გულიც ამაზე დააჯერა და ცხვარს ისევ გამოუდგა.

მიბაკუნებდა ცხვარი. მიცუნცულებდა მელია.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, უცებ მელიას სულ ახლოს, ზედ ყურთან, ძაღლების საშინელი ყეფა შემოესმა. შიშმა გული გადაუტრიალა, გზა-კვალი აუბნია, ველარც კი მოისაზრა, საით გაქცეულიყო და, ვიდრე გონს მოვიდოდა, ბალახბულახითა და ჩირგვებით მოდებულ ღრმა თხრილში გადაეშვა.

ახლა აღარც ცხვარი მიბაკუნებდა მის ცხვირწინ და არც მსუქანი დუმა ქანაობდა.

მელია მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ცხვრის დუმის დევნას შეუმჩნევლად შუა სოფელში შეეყვანა. ისიც ახლა შეიტყო, რომ იმ ცხვარს თურმე პატრონი ჰყოლია, ხოლო პატრონს კი — ძაღლები, ცხვრის დასაცავად...

მელიას ყოველივე ეს ასე ნაგვიანევად მოაგონდა და მწარე სინანულით ესღა ამოიკვნესა:

— ახია ჩემზე, ქათმის ხორცით მაძღარი ვიყავი და ცხვრის დუმა რაღად მინდოდა?!

ნაგაზებმა გასწიეს და გამოსწიეს მელია.

წუწკმა მელიამ სული იქვე განუტევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა სიმართლისა

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. როდის? მაგას კი ვეღარ გეტყვით, მაგრამ, სამაგიეროდ, იმის თქმა კი შემიძლია, რომ ჩვენს დროში ეს არასგზით არ მოხდებოდა.

მაშინ თურმე ბატონები იყვნენ. ჰოდა, უთუოდ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ ბატონები იყვნენ, მამულიც ექნებოდათ, დოვლათით სავსე სახლ-კარიც, მოურავიც ეყოლებოდათ და შინამოსამსახურე გოგო-ბიჭებიც.

ასე ყოფილა იმ დროს და რა გასაკვირი ამბავია, თუ ტრაფინა ბატონსაც ჰქონდა დიდი მამულები, საძოვრები, ბაღ-ვენახები, მდიდრულად მორთული ფართო კარ-მიდამო და მასთან ერთად მრავალრიცხოვანი ყმები და შინამოსამსახურე გოგო-ბიჭებიც დასტრიალებდნენ თავს.

ტრაფინა ბატონის მოახლე გოგო-ბიჭებში ერთი ისეთი გოგო და ბიჭი ერია, რომ მათ შეხედვას არაფერი ჯობდა. გოგოცა და ბიჭიც ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ. გოგო გაბადრულ მთვარეს ჰგავდა და სახელიც საკადრისი ჰქონდა — მთვარისა, ბიჭი კი მკვრივად ჩასხმული იყო და იმასაც შესაფერ სახელს ეძახდნენ — ტარიელი ერქვა.

მთვარისა და ტარიელი მუყაითობით, კარგი სიტყვა-პასუხით, სიმკვირცხლით გამოირჩეოდნენ სხვებისაგან. რაც უნდა დაევალებინათ, ყველაფერს თვალის დახამხამებაში

ასრულებდნენ, ამიტომ ტრაფინა ბატონსა და მის მეუღ-
ლეს, ქალბატონ გულქანს, ძალზე უყვარდათ ორივე: ცოლ-
ქმარი ისე ვერ მოისვენებდა, თუ მთვარისა და ტარიელი
მათ ფეხებს არ დაბანდნენ და მერე ფეხისგულების ფხანა-
ში ტკბილად არ ჩაეძინებოდათ.

ასე ცხოვრობდა მამა-პაპის ქონებით, დოვლათითა და
ყმების სამსახურით განებივრებული ცოლ-ქმარი. ამიტომ
თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ყმების პირობაზე არც
მთვარისა და ტარიელი ემდუროდნენ ბედს, რადგან ჯერ
ახალგაზრდები იყვნენ, დუხჭირი ცხოვრების ასავალ-და-
სავლისა ბევრი არა გაეგებოდათ რა და ბატონებიც მად-
ლიერი ჰყავდათ.

ასე გადიოდა დრო, მაგრამ ამქვეყნად დაუსრულებელი
სხვა რა ყოფილა, რომ მათი ეს მცირედი ბედნიერება ყო-
ფილიყო?

ერთ მშვენიერ დღეს, როცა წამოიზარდნენ, როცა
მთვარისა უკვე მოწიფული ქალი შეიქნა და ტარიელმაც
ულვაშები დაიმშვენა, ვაჟმა ქალს გული გადაუხსნა და მის
საიდუმლო კუნჭულში ჩაახედა.

— მიყვარხარ, ძვირფასო, მეტი აღარ შემიძლია—უთ-
ხრა ტარიელმა და ხელი მოხვია, რომ მღელვარე გულში
ჩაეკრა საყვარელი არსება.

მთვარისა აწითლდა და შიშნაკრავი თვალებით მიაჩერდა
ჭაბუკს, თუმცა ტარიელისადმი ფარული ტრფიალების ნა-
პერწკალი თვითონაც უღვივოდა გულში.

— სუ! სუ! ეგ რა თქვი? დაგავიწყდა, რომ ჩვენ ყმები
ვართ და ბატონს ვემსახურებით?!

— მერე რა, რომ ვემსახურებით?

— არა, ტარიელ, არა, არ გამაგონო, ეს შეუძლებელია!

— ოღონდ ჰო მითხარი, მეტი არაფერი მინდა, სხვას

ყველაფერს მე მოვაგვარებ. შენ ფიქრი ნუ გაქვს, მოგიტა-
ცებ და ცხრა მთას იქით გადავიკარგები!—ტარიელმა გულ-
ში ჩაიკრა ქალი, მაგრამ მთვარისამ ამჯერადაც თავი გაითა-
ვისუფლა, ხელები ყურებზე მიიფარა.

— არ გვაპატიებენ! არა! არ გამაგონო! — მიაძახა ვაჟს
და გაიქცა.

სასახლეში თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდი-
ნარეობდა. მთვარისა და ტარიელი არაფერს იმჩნევდნენ.
დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ მათი იდუმალი ტრფიალი
არავის შეუნიშნავს, მაგრამ სიმკაცრითა და სიავით სახელ-
განთქმულ ტრაფინა ბატონს ათასი თვალი და ყური ჰქონ-
და გამობმული. ყოველივე შეიტყო და გადაწყვიტა, სანი-
მუშოდ დაესაჯა ურჩი ყმები, რომ ამით სხვებისთვის ჭკუა
ესწავლებინა.

პაპანაქება სიცხე იყო. ტრაფინა ბატონი ტოტებგაბრ-
ჯნილი ასწლოვანი ჭადრის ჩრდილში ჭილობზე იწვა, თავ-
ქვეშ მუთაქა ამოედო და განრისხებული მისჩერებოდა ცას.
დიდხანს იყო ასე, ღრმა ფიქრებში წასული, მერე უცებ
გვერდით მჯდომ გულქანს მიუბრუნდა:

— ვინ წარმოიდგენდა ამგვარ თავხედობას! აქვე, ჩემ
თვალწინ, ნაცვლად იმისა, რომ ბატონის სამსახურზე იფიქ-
რონ, თვალებში მიცქირონ და უსიტყვოდ ამოიკითხონ, რა
მესიამოვნება და რა — არა, რაებს ბედავენ, ხედავ?

— საშინელებაა, საშინელება და, ვიდრე ჯერ კიდევ
გვიანი არ არის, ამ ამბავს ბოლო უნდა მოეღოს, თორემ
სხვები სულ თავზე წამოგვასხდებიან! — მიუგო გულქანმა.

— მაშ არა და, ვაპატიებ, მაგათი თავის გახეთქვამ ! რას
მიქვია ყმების ღლაბუცი ჩემს სახლში, ჩემ თვალწინ! ჩავამ-
წარებ!..

— ჰოდა, აგრე უნდა მოიქცე, თორემ გათამამდებიან და თავზე წამოგვასხდებიან. ჰმ! სიყვარულიო! — გაანჩხლებულმა გულქანმა გამქირდავად გაიცინა. — სად გაგონილა, ბატონო, ყმების სიყვარული, ნამდვილი მეორედ მოსვლაა, შენი ჭირიმე!..

— ეს არ მიხეთქავს გულს? ადამიანო, ყმები და სიყვარული? ისიც ჩემ თვალწინ, გესმის?! — ცოფს ჰყრიდა ტრაფინა ბატონი.

— საკვირველია, ვინ ასწავლა, ჰა?.. — კვირობდა გულქანი.

— შენ ეგა თქვი! ამისთანა საქმე ჩემი პაპის პაპის ყმებში არავის ახსოვს! ამას ვინ გაბედავდა ძველად აქ, ისიც მამაჩემის დოხორეში?

— სულ შენი ბრალია, შენმა მზემა! რბილად ეპყრობი: არავის არა სჯი და აი, თავიც აიშვეს!

— შენი ამბავი მაკვირვებს, არა სჯი, არა სჯიო, რომ დაგიჩემებია! განა დასჯა არ იყო, სიტყვის შემობრუნებისათვის აზნაურ თარაშიას გლეხი საბეკია რომ სათათრეთში გავაყიდინე? განა დასჯა არ იყო, ლანდია მონადირე ძაღლზე რომ გადავცვალე? განა დასჯა არ იყო, ცალ ულვაშმოპარსული ჯგერენაია ვირზე უკუღმა რომ შევასმევინე და მთელი სოფელი რომ შემოვატარებინე? განა დასჯა არ იყო ისა, რა ერქვა იმ ლამაზ გოგოსა?

— ჰო, ჰო, არეთა, ცალთვალას, კოჭლს და ბებერ დათიელას რომ მიათხოვე ურჩობისათვის.

— ეგ ძველი ამბავია, თოლიგე, ძალიან ძველი და შორეული... შენ ახლა ისა თქვი, ამ ამბავს რა ეშველება, რა ვუწამლოთ? დასჯით კი დავსჯი, მაგრამ თან მენანებიან, კარგი გოგო და ბიჭია! — ჩაფიქრდა ტრაფინა ბატონი. მერე

ღრმად ჩამჯდარ თვალებში კვლავ მრისხანება გამოესახა და უცებ ხმამაღლა დაიძახა: — მოურავო!

სად იყო და სად არა, ბატონს წინ გამოეჭიმა შერმადინ-მოურავი.

— აქ მოლალე ის შენი ნახირი ახლავე!

— რომელი ნახირი, ბატონო, რას ბრძანებთ?

— რა ბატისტვინა ხარ, მოურავო! — შეუტია ტრაფინამ.

— ჰო, ბოდიში, ბატონო, ბოდიში, უცებ ვერ მოვისაზრე, მე უბედურმა! გოგო-ბიჭები არა? ახლავე თქვენი ჭირიმე! — შერმადინი ადგილს მოსწყდა და ბრძანების შესასრულებლად წაძუნძულდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში შინაყმებმა და მოახლე გოგო-ბიჭებმა უკლებლივ მოიყარეს თავი ბატონის ეზოში და რაღაცა საშინელი ამბის მოლოდინით შეძრწუნებულნი გაისუსნენ.

— ტარიელი სად ბრძანდება? — გაისმა ტრაფინა ბატონის მრისხანე ხმა.

— აქ გახლავართ, მწყალობელო! — წინ წამოდგა მხარ-ბეჭგანიერი, ბრგე და ლამაზი ჭაბუკი.

ტრაფინა ბატონმა ჯერ ყმებს შეავლო თვალი, მერე მრისხანე მზერა ტარიელზე შეაჩერა.

— ვინა ხარ შენ?

— თქვენი ერთგული ყმა, მარად თქვენი მონა-მორჩილი, მწყალობელო ბატონო! — მოკრძალებით მიუგო ტარიელმა.

— თვალთმაქცობ, შე სალახანავ, შენა!

— რათა, მწყალობელო? რაში მეტყობა თვალთმაქცობა, განა ყოველთვის ერთგულად არ გემსახურებოდით?

— ყოველთვის? — ხმას აუწია ბატონმა და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა. — მუტრუკი გამოხვედი, უმადური! ბატონის მორიდება, შიში და პატივისცემა დაკარგე!

— ამისთანა რა ჩავიდინე, მწყალობელო?

— რა ჩავიდინე! რა ჩავიდინე!.. ჩემ დაუკითხავად, ჩემი ნებართვისა და სურვილის გარეშე ისეთ რამეს ჩადიხარ, რომ...

— მაინც რას, მწყალობელო?

— სიყვარულობია გამიმართე აქ... ჩემს ოჯახში!

ამის გაგონებაზე ყმებმა გოგოებს გადახედეს. ყველა თავისუფლად იდგა, მხოლოდ მთვარისას ჩაექინდრა თავი მორცხვად და მღელვარებისაგან სახეზე ალმური მოსდებოდა. ყმები მიხვდნენ, რომ ბატონის მრისხანება ამ ორის — მთვარისასა და ტარიელის — საქციელით იყო გამოწვეული.

— მე უკვე ოცი წლისა შევსრულდი, — გაბედულად წამოიწყო ტარიელმა, — რაც თავი მახსოვს, გემსახურებით. საწყალ მამაჩემსაც თავისი დღე და წუთისოფელი თქვენს სამსახურში დაუღამდა. როცა აქ მომიყვანეთ, მამას პირობა მიეცით, როგორც კი ოცი წელი შეუსრულდება, გავათავისუფლებო. მამაჩემი გულისფანცქალით მოელოდა ამ სანატრელ დღეს, ფიქრობდა, ტკბილ სიბერეს გავატარებო, მაგრამ აღარ დასცალდა და თქვენი ჭირი წაიღო. ჩემი მშობლებიც და წინაპრებიც შენი ოჯახის სამსახურს შეაბერდნენ. მეც თავს არ ვზოგავ, გემსახურებით, რაც შემიძლია. ნუთუ ყოველივე ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გული მოილბოთ, მოწყალება მოიღოთ და, დაპირების თანახმად, მიწის მცირედი ნაჭერი მიწყალობოთ, რომ პატარა ფაცხა მოვიღობო, კერიაზე ცეცხლი დავანთო და საკუთარ ჭერქვეშ შემოვიყვანო ის, ვინც

საქ. სსრ. მეცნ. აკად. ს. ახ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

გულით მიყვარს. ხომ არ ვიყრებით და სადმე ხომ არ მივ-
დივართ. ისევ თქვენი ყმები არ ვიქნებით, ვიდრე პირში
სული გვედგმება?

— ენა ნუ წაიგრძელე! აქ ჩემია ყველაფერი — ცაც, ჰაე-
რიც, ყმებიცა და...

— კი მაგრამ, ოცი წლის შემდეგ ხომ უნდა გაგეთავისუ-
ფლებინე? პირობის შეშლა, აბა, რა საკადრისია!

— კრინტი! რა პირობაზე მელაპარაკები. ყმას ბატონის
სამსახურისგან მხოლოდ სიკვდილი ათავისუფლებს, სხვა
არაფერი!

— მეც და... განა ჩვენ ყველანი ადამიანები არა ვართ?!

— გესმის კაცო, ეს შფოთისთავი რაებსა ბედავს? — გა-
წიწმატდა ქალბატონი გულქანი.

— შეჰკარით ეგ თავხედი! — წამოიყვირა ტრაფინა ბა-
ტონმა.

ბრძანების გაცემა ადვილი იყო, მაგრამ ტარიელს ხელის
ხლებას ვინ გაუბედავდა.

ადგილიდანაც არავინ დაძრულა.

— შეჰკარით-მეთქი! მოურავო, რაღას უცდი? სწრაფად!

მოურავი ადგილს მოსწყდა, მაგრამ ვიდრე გაურჩებულ
ყმას დაეტაკებოდა, ტარიელმა ის ერთი დარტყმით სამჯერ
ზედიზედ გადააკოტრიალა. ტრაფინა ბატონმა შეატყო, საქ-
მე ცუდათა�, ძლივს წამოდგა და ყმებს ზარდამცემად დაუ-
ლრიალა:

— თქვენ რაღას უდგახართ, შეჰკარით!

შეშინებული ყმები მიესივნენ ტარიელს და კარგა ხანის
ჭიდილის შემდეგ, როგორც იყო, ძირს დასცეს. ამასობაში
მოურავიც მოსულიერდა, ზედ მოაჯდა წაქცეულს და მსხვი-
ლი თოკი ერთხელ კიდევ გადაუნასკვა.

— ეგეც შეჰკარით! — ბრძანა ტრაფინამ და მთვარისაზე მიუთითა, — ავაზაკი ტარიელი ხუნდზე დასვით, ის გამბიო კი დილეგში ჩააგდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი რა გზა ჰქონდათ. ყმებმა ბატონის ეს ბრძანებაც უმალვე შეასრულეს. პაპანაქება სიცხეში ტარიელი ხუნდზე დასვეს და შიშველ ტანზე თაფლი წაუსვეს, რომ ბუზები დასეოდნენ. გულქვა ბატონი დიდხანს ტკბებოდა ამ სანახაობით; მერე, როცა ტარიელს უამრავი ბუზი, კრაზანა და ფუტკარი მიესია, ხოლო მას ამ მოძალადეების მოგერიების თავი აღარა ჰქონდა, ტრაფინა ბატონმა ნიშნის მოგებით მიაძახა:

— ეგეც შენ, შე ლაწირაკო, შენა! არ გერჩივნა, ჭკუიანად ყოფილიყავი? იქნებ კიდევ მოითხოვო მიწა ცალკე დასასახლებლად?!

— მიწაო? მიწა კი არა, გოგოსაც გთხოვს, ვერა ხედავ? ისიც რჩეულსა! — ჩაიქირქილა გულქანმა.

— რაკი ასეა, ახლა დადექი და იხტუნე! ეს კიდევ არაფერი. სულ მოგაშორებ აქაურობას, სათათრეთში გაგყიდი, რომ ურჯულოთა ქვეყანაში ამოგხდეს სული. სიყვარულობანა არ გამიმართა აქ!

ტარიელის საცოდაობით გულდათუთქული ყმები უბედურს შორიდან უთვალთვალებდნენ, მაგრამ შველა კი არავის შეეძლო. აბა, რომელი ყმა გაბედავდა აშკარად გამოსულიყო, პირში შებმოდა გულქვა ბატონს და რამე ეღონა ამ უბედური ადამიანის გადასარჩენად!

ბინდი უკვე ჩამოწვა. მთელი დღის განმავლობაში თავის ქნევით, ბუზებისა და კრაზანების მოგერიებით მოღლილ-მოქანცული ტარიელი ისევ უღონოდ მოკუნტული

იჯდა. ყმები იმედოვნებდნენ, განრისხებული ბატონი გულს მოილბობს, ამდენ ტანჯვას აკმარებს და აუშვებსო, მაგრამ ბატონის გულს ასე ადვილად რა მოალბობდა? ბატონი ისევ განრისხებული იყო და ცოფსა ყრიდა. დაძინების წინ ყველა დაიბარა და მკაცრად გააფრთხილა: სიახლოვეს არავინ გაეკაროთ, არც წყალი მიაწოდოთ და არც ერთი ლუკმა პური, ვინც ამ ბრძანებას ეურჩება, იცოდეთ, უარესი დღე მოელისო.

მეთვალყურეობა მოურავს დაავალა, რომლისთვისაც ტარიელს ისე მაგრად გაერტყა, რომ სახე მთლად დალურჯებული ჰქონდა.

ტარიელი ღამით ძალიან ბევრს ეცადა, რა ხერხს არ მიმართა, რა არ იღონა, მაგრამ მაინც ვერას გახდა. ხუნდი ისე იყო მოწყობილი, რომ ადამიანის დაუხმარებლად მას ვერ მოიშორებდა. იმ ღამეს არც ტრაფინა ბატონის ყმებს მოუხუჭავთ თვალი. დიდხანს ბჭობდნენ და ტარიელის გასათავისუფლებლად გეგმებს აწყობდნენ. ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ტარიელის სადარაჯოდ მიჩენილი მოურავი ძილფხიზლობდა. უცადეს, უცადეს, იქნებ დაეძინოსო, მაგრამ, ბოლოს, მოიქანცნენ და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. მთელ სასახლეში ყველას დაეძინა, თვით მოურავსაც კი, მხოლოდ ტარიელი და მისი ორი გულითადი მეგობარი — ჯეგე და ჯუმბერი — ფხიზლობდნენ. ჯეგე და ჯუმბერი ბინიდან სწორედ მაშინ გამოვიდნენ, როცა მამლებმა მეორედ იყივლეს. ხოხვით მიუახლოვდნენ ხეს, რომლის ძირში მოურავი იჯდა. სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო და ჯერ შორიდან დაუწყეს თვალთვალი, მერე უფრო ახლოს მივიდნენ.

— გესმის? ხვრინავს ეს გაიძვერა! — წაიჩურჩულა ჯეგემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა ჩასძინებია! აბა ვიჩქაროთ!

ჯეგე და ჯუმბერი ელვის სისწრაფით თავს დაესხნენ მოურავს. ვიდრე ის გონს მოვიდოდა და ყვირილს ატეხდა, პირში ჩვარი ჩასჩარეს და გათოკეს. მხოლოდ ამის შემდეგ მიაშურეს ტარიელს. აუშვეს იგი და მის ნაცვლად თავზე ტომარაწამოცმული მოურავი დასვეს ხუნდზე. გათავისუფლებულმა ტარიელმა ღამის წყვდიადს მისცა თავი. ჯეგე და ჯუმბერი კვალდაკვალ მიჰყვნენ, რადგან ბატონის საბრძანებელში უკვე აღარ დაედგომებოდათ.

დილით, ინათა თუ არა, ყველაზე ადრე ტრაფინა ბატონი ადგა. მაშინვე ახალუხი გადაიცვა, ბატის ფრთით ღილკილოების შეკვრა დაიწყო და აივანზე გამობრძანდა. უწინარეს ყოვლისა, მან იქით გაიხედა, სადაც წინა საღამოს ტარიელი დასვეს ხუნდზე, და გაოცდა: იმ ადგილას ნეღა ირხეოდა ტომარა.

— მოურავო, სადა ხარ? — დაიყვირა ტრაფინა ბატონმა.

პასუხი არავინ გასცა. ბატონი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მოურავი არსად ჩანდა. ამასობაში ყმები და გოგო-ბიჭები მოგროვდნენ, მისცვივდნენ ხუნდს, მსხვერპლს ტომარა მოხადეს და სახტად დარჩნენ.

— ვინა ჰქნა ეს? — მრისხანედ იკითხა ტრაფინა ბატონმა.

ყველა დუმდა, არავინ არაფერი იცოდა. თვით მოურავსაც კი ვერაფერი გაეგო, ისე გულიანად ჩასძინებოდა.

ტრაფინა ბატონი საკუთარ თვალებს არ უჯეროდა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ახლავე მომეცით ამის ჩამდენი; თქვენი ხელით მომიყვანეთ, თორემ დედაბუდიანად ამოგწყვეტთ ყველას!

ხმას არავინ იღებდა. ბატონს რომ ეჭვი არ აეღო, ყმები უმალვე მისცვივდნენ მოურავს და ხუნდი მოხსნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაფინა ბატონმა რჩეული ცხენოსნები აფრინა ელეთ-იქით. ბრძანა, გზები შეეკრათ, ტარიელი შეეპყრათ და ცოცხალი მოეყვანათ. ცხენოსნებმა სასწრაფოდ გაქუსლეს, მაგრამ, თითქოს მიწამ პირი უყოო, ტარიელის გზასა და კვალს ვერსად მიაგნეს.

ლტოლვილზე განრისხებულმა ტრაფინა ბატონმა საბრალო მთვარისაზე იყარა ჯავრი: დილეგიდან ამოაყვანინა და ქურდებს გადასცა. ქურდებმა ღამით საზღვარზე გადააპარეს და ურჯულოთა მხარეში გაყიდეს, რათა უგზოუკვლოდ გადახვეწილ ტარიელს მისი ასავალ-დასავალი ვერასოდეს გაეგო.

გავიდა ხანი. ტრაფინა ბატონის სასახლეში მთვარისას და ტარიელს აღარც კი ახსენებდნენ. სოფელმა მიივიწყა ერთიც და მეორეც. ის, რაც მათ შეემთხვათ, ბატონის სასახლეში იშვიათი ამბავი როდი იყო. ტარიელს კი თავის პირველ სიყვარულს აბა რა დაავიწყებდა! მათხოვრის ტანსაცმელი გადაიცვა და ყველგან მთვარისას დაეძებდა. ბოლოს, როცა დიდი ხნის ძებნის შემდეგ ყოველგვარი იმედი გადაუწყდა, მისანთან მისვლა გადაწყვიტა. იარა ტარიელმა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ მშვენიერ დღეს მიადგა მისნის სამყოფელს.

მისანმა ტარიელის დანახვისთანავე ამოიოხრა და შეჰღაღადა:

— ჰმ, აი, კიდევ ერთი მსხვერპლი ბოროტებისა!

ტარიელს ნაღვლიანად გაეცინა:

— საიდან იცი, ჯერ ხომ არაფერი მითქვამს?

— შენი თქმა რად მინდა, შვილო, მე ყველაფერი ვიცი. ესეც არ იყოს, ჩემთან მხოლოდ ტანჯული და დაბეჩავებული ადამიანები მოდიან რჩევა-დარიგების სათხოვნელად.

ჩემთან მხოლოდ ისინი მოდიან, ვისაც სიმართლე ვერ ეტევა-ვია. ვიცი, ვიცი, რომ შენც სიმართლის საძებნელად ხარ მოსული. გინდა, გზა გასწავლო! მაგრამ გასამრჯელო მოიტანე, შვილო? ხელცარიელი ხომ არ მოხვედი?

— ჰმ, გასამრჯელო! — მწარედ გაეღიმა ტარიელს, — მაინც რას ითხოვთ გასამრჯელოდ?

— ჩემი გასამრჯელო მთელმა ქვეყანამ იცის, შვილო, ხუთ ოქროს!

— ოქრო? ხუთი ოქრო? ოქროები ვინ მომაქვავა, მისანო! ოქროსი მხოლოდ სახელი გამიგონია, თვალით კი არასოდეს მინახავს! ოქრო რომ მქონოდა...

მისანი თვალებგაბრწყინებული შესცქეროდა კალმით ნახატ ჭაბუკს, რომლის მსგავსი არასოდეს ენახა. იგი უცებ მოაჯადოვა ტარიელის გარეგნობამ.

— ხელი მოიტა, შვილო. შენ ისეთი კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, გასამრჯელოს ახლა არ მოგთხოვ, ოღონდ არსად წამოგცდეს, რომ არაფერი მოგიტანია! ხელისგული გაშალე, შვილო!

მისანი დააკვირდა ხელისგულს, დიდხანს უცქირა, უცქირა, ბოლოს ამოიოხრა და დაიწყო:

— ამ ხაზს ხომ ხედავ, შვილო? ეს დიდი შარაა, დიდი და შორი გზა გიძევს... ამ გზას გაჰყევი, სამხრეთ-აღმოსავლეთით იარე, ბევრი, ძალიან ბევრი იარე — დღისითაც, ღამითაც. გზაზე ბევრი, ძალიან ბევრი ვინმე შეგხვდება. ზოგი — იქით მიმავალი, ზოგი — აქეთ მომავალი. გკითხავენ: — სად იყავი, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარ, რა საქმეზეო? — იცოდე, ენა არავისთან დაასველო, არავის არაფერი უთხრა! ცხრა წლისა, ცხრა თვისა და ცხრა დღის შემდეგ ზღვის ერთ ნაპირს მიადგები. იმ ზღვის გადაღმა ქვეყანაშია ის სიმართლე, რომელსაც შენ დაეძებ და აქამდე ვერ გიპოვია. იმ

ზღვაზე გრძელი ხიდია. მას ბეწვის ხიდს ეძახიან. ზედ გადასვლა ადვილი საქმე არაა, გაგიჭირდება, მაგრამ უნდა ივაჟკაცო! როცა გადახვალ, როცა ყველა შენი ტანჯვა-ვაება დაგავიწყდება, სიმართლეს იპოვი და გაბედნიერდები, მეც მომიგონე და ჩემი მცირე გასამრჯელოც არ დაგავიწყდეს.

ცხრა წლისა, ცხრა თვისა და ცხრა დღის შემდეგ ტარიელი მართლაც მიადგა ზღვის ნაპირს და თვალწინ უცნაური სურათი გადაეშალა: ხიდთან ზღვა ხალხს მოეყარა თავი. ყველა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მხარეში გამეფებულ დუხჭირ ცხოვრებას გამოქცეოდა, სიმართლის ძებნას აქამდე მოეყვანა, მაგრამ ხიდზე გასვლა ვერავის გაებედა და აქ დაბანაკებულიყვნენ.

თითო-ოროლა გულადი ვაჟკაცი ქარიშხალსა და ზღვის სასტიკ ღელვას არ შეშინებოდა და ხიდზე გაბედულად შეედგა ფეხი. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ამ თავგანწირულ გულადთაგან უკან დაბრუნებული აღარავინ უნახავთ. ხოლო ვინც აქ დარჩა, სიცოცხლეს ტყუილად იმოკლებდა ამაო ლოდინით.

ტარიელი ძალიან ჩააფიქრა გაგონილმა და საკუთარი თვალით ნანახმა. მან დიდხანს უცქირა აბობოქრებულ ზღვას, რომელიც მთებისოდენა ტალღებს მოაგორებდა და ნაფოტივით ათამაშებდა ზედ გადებულ ხიდს. დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა გაოგნებული და ზღვას გასცქეროდა. ვერ მოესაზრებინა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. ბოლოს წასვლა გადაწყვიტა, ირგვლივ შემოკრებილ ხალხს გადახედა, მარჯვენა ხელი ასწია და ომახიანად შესძახა:

— ხალხო, მეც მივდივარ, გზა დამილოცეთ!

თქვა ეს სიტყვები, მიტრიალდა და ხიდს მიჰყვა ვაჟკაცური, მტკიცე ნაბიჯებით.

— ყოჩაღ, ბარაქალა, ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, მამაცო ჭაბუკო! გზა მშვიდობისა, კეთილად გნახეთ, კეთილად გნახეთ, გამარჯვებით დაბრუნებულიყავი! — გაისმა აქეთ-იქიდან...

ტარიელი კი მიდიოდა და მიდიოდა. დადუმებული ხალხი კიდევ დიდხანს უყურებდა მიმავალს, ვიდრე ის თვალთ არ მიეფარა...

ფაფარაყრილი ზღვა ბორგავდა და გმინავდა. ქარიშხალი თანდათან სულ უფრო მძაფრდებოდა. მთებისოდენა ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და იმსხვრეოდნენ.

ხიდი ირწეოდა, ჭრიალებდა, თითქოს საცაა უნდა დაიშალოს და ნაფოტებად იქცესო. გადიოდა დრო. თენდებოდა, ღამდებოდა, ტარიელი კი სულ მიდიოდა, მიდიოდა და მიდიოდა. დაღლასა და მოქანცულობას აინუნშიაც არ აგდებდა, ოღონდ როგორმე გაღმა ნაპირამდე მიეღწია. ბოლოს, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთგან მთლად გათეთრებულ ბერიკაცს წააწყდა. ბერიკაცი თურმე გაღმა ნაპირიდან მოდიოდა. გზაში ღონე გამოლეოდა, დაღლილიყო და აქ ჩამომჯდარიყო დასასვენებლად. უღონო ხელებით ხიდის მოაჯირს ჩაჭიდებოდა, რათა ქარიშხალს ზღვაში არ გადაეგდო.

რა ხანი იყო, ტარიელს ძე-ხორციელი არ ენახა და ძალიან გაუხარდა ბერიკაცის დანახვა. ბერიკაცმაც გაიხარა. ტარიელი უმალვე მიიჭრა მასთან, მიესალმა და დაწვრილებით გამოჰკითხა ვინაობა. ბერიკაცმაც ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდენოდა.

— მეც შენსავით ახალგაზრდა ვიყავი, შვილო. ბედმა დამჩაგრა, ვერაგმა ადამიანმა არ დამინდო, გამაუბედურა. ვის არ მივმართე, ვის არა ვთხოვე შველა, მთა და ბარი შე-

ვაჯერე, მაგრამ სიმართლეს ვერ მივაკვლიე. ბოლოს მირ-ჩიეს, სიმართლე მხოლოდ გალმა ქვეყანაშიაო და-მეც იქით გავწიე. მაშინ, როგორც წელან გითხარი, ვარსკვლავებს ვწყვეტდი ციდან. მას აქეთ მოვდივარ და მოვდივარ დღისი-თაც და ღამითაც, დღისითაც და ღამითაც, შეუსვენებლივ და აჰა, ჩემი სიცოცხლის მზე საცაა ჩაესვენება კიდეც. შე-მომხედე, რასა ვგავარ! ამ სიარულში მოვიქანცე, ჯან-ღონე გამომელია, დავუძლურდი, დავჩაჩანაკდი. ჩემი დღე და წუ-თისოფელი ამ ბეწვის ხიდზე გადასვლ-გადმოსვლას მოვან-დომე. ეჰ, მე ხომ მოვტყუვდი, მაგრამ შენც მწარედ მო-ტყუებულხარ. საწყალი კაცი ყველგან დაჩაგრული ყოფი-ლა! მე შევცდი, შვილო, და შენც შემცდარხარ. მე ბოროტ-ებას იქვე, ჩემს მიწა-წყალზე უნდა შევბრძოლებოდი. ან გავიმარჯვებდი, ან თავს შევაკლავდი და მომავალი თაობა მაინც მომბაძავდა. იქნებ იმას მაინც ოდესმე დაემარცხები-ნა უსამართლობა და თვითონ გამხდარიყო ბედნიერი. შენც ასევე უნდა მოქცეულიყავი. ახლა, ვიდრე გვიან არ არის, დაბრუნდი შენს ქვეყანაში, იქ შეებრძოლე ბოროტებას და სიმართლესაც იპოვი.

ქარიშხალი სულ უფრო მატულობდა, ზღვა ისევ ბორ-გავდა, ყალყზე დგებოდა, ზარდამცემად გუგუნებდა და მთე-ბისოდენა ტალღებს ნაპირისაკენ მიაქანებდა. მძიმედ და-ღონებული ტარიელი გულდასმით უსმენდა მოხუცს, ბო-ლოს თითქოს თავისთვის გაიმეორა:

— დიახ, ბერიკაცო, შენ მართალი ხარ, შორი ყოფილა გზა სიმართლისა!..

1939 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულბული და სვავი

ძალიან შორს, ცხრა მთას იქით, სადაც აქედან ვერც თვალს მიაწვდენთ და ვერც ხმას, იყო ერთი ულამაზესი ქვეყანა. ამ ქვეყნის მიწა-წყალზე არასოდეს ადამიანისშვილს ფეხი არ დაეკარებინა. სამაგიეროდ, რაც ცისქვეშეთში ლამაზი და მგალობელი ფრინველები გაჩენილიყვნენ, ყველას აქ მოეყარა თავი, მეფედ კი შორსმჭვრეტელი და სახელგანთქმული არწივი დაესვათ.

ყოველდღე, ვიდრე მზე ჩავიდოდა, არწივის სამეფოში სიმღერა-გალობა ისმოდა. რომელ ფრინველსაც საით უნდოდა, იქით მიფრინავდა, როგორი ხმითაც მოესურვებოდა გალობა, იმ ხმით გალობდა. დამშლელი და მოძალადე არავინ ჰყავდათ. თავიდანვე ასეთი ტკბილი ცხოვრება დამყარებულიყო ამ აყვავებულ ქვეყანაში. ამიტომ ამ პატარა ქვეყანას შენატროდნენ გარშემო მდებარე დიდი და პატარა ქვეყნები.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მზე ჩვეულებრივად კაშკაშებდა და ყოველი არსი ნეტარებას მისცემოდა, უბედურება დატრიალდა: უცებ ცა ყომრალი ღრუბლებით მოიფინა, ჩამობნელდა, საშინელი გრიგალი ამოვარდა, ატყდა ჭექა-ქუხილი. თავსხმა წვიმამ, ქარმა და სეტყვამ ყველაფერი მიანგრ-მოანგრია, ყვავილებით მოქარგული ველ-მინდორი გადათელა, წინანდელი ბაღჩა-ბაღების ადგილას ისლითა და ლაქაშით მოფენილი ჭაობი ჩადგა. გაჩნდა ათასი ჯურის ქვეწარმავალი. მგალობელი ფრთოსნები სადღაც გადაიკარ-



ვნენ. მეფე არწივიცა და მისი ჯალაბობაც სადღაც ვადახვეწილიყვნენ. მათ ნაცვლად მოფრინავდნენ ყანჩები და წეროები, ჩხიკვები და კოდალები, ძერები და ყარყატები, კაჭკაჭები და ყვავ-ყორნები. შემოსეულმა ურდოებმა იმ ლამაზი ქვეყნის ერთი მესამედი დაისაკუთრეს და არწივის ნაცვლად მეფედ სვავი დასვეს.

სვავის გამეფების დღიდან იმ ქვეყანას ჯანღი და ნისლი არ მოშორებია. საშინელი სანახავი გახდა ოდესღაც წალკოტოვანი მთა და ბარი. გაქრა ყვავილები და მათი საამური სურნელება. ახლა ყველგან ჩატბორებული და გულშემზარავი ჭყანტობი იდგა. ირგვლივ მხოლოდ შმორის სუნი ტრიალებდა. ამ გაპარტახებულ და იავარქმნილ ქვეყანაში მხოლოდ ყანჩების ყრანტალი, წეროების ყიპყიპი და ყვავ-ყორნების ჩხავილიღა ისმოდა.

ასე იყო ყოველდღე, მაგრამ ხანგამოშვებით რაღაც ჯადოსნური ჰანგები მიმოეფინებოდა ხოლმე არემარეს. ღრუბლები გადაიყრებოდა, გამოჩნდებოდა მოწმენდილი ცა, ჭაობები ამოშრებოდა, ყვავილები კოკრებს გაშლიდნენ, ხეები მწვანე საბურველით შეიმოსებოდნენ. უცხო ჰანგების მოსმენისას ამ ქვეყნის ახალი ბინადარნი — ფრინველები თუ ქვეწარმავლები — თავშესაფრისაკენ მიეშურებოდნენ. მათ სმენის დამატკბობელი გალობა მიაჩნდათ სწორედ ყველაზე დიდ უბედურებად. ისინი თავიანთი სოროებიდან და ბუდეებიდან მხოლოდ მაშინ გამოძვრებოდნენ, როცა ყოველივე მიწყნარდებოდა, როცა ხეები და ყვავილები ტოტებსა და ღეროებს დახრიდნენ, როცა ნაჭაობარში გუბე ისევ ჩადგებოდა და ჰაერი შმორის სუნით გაიჟღინთებოდა.

ჭაობის მკვიდრთ თავი მობეზრებული ჰქონდათ უცხო ხმებით. თითქმის აღარ ედგომებოდათ თავიანთ ბუდეებ-

ში, მაგრამ სად უნდა წასულიყვნენ, ასეთი შმორით სავსე ქვეყანა განა კიდევ მოიძებნებოდა სადმე ამ ცისქვეშეთში?

გადიოდა დრო, არაფერი იცვლებოდა, საშველი ორსად იყო. მწუხარებასა და ტანჯვას ბოლო არ უჩანდა.

ვისთვის უნდა შეეჩივლათ გაჭირვება, ვისთვის ეთხოვათ, ნუ არღვევენ ჩვენს მყუდროებასო? ვინ მოუღებდა ამას ბოლოს? სურვილის შესრულება მხოლოდ მეფეს შეეძლო, მაგრამ მეფემდე დიდი მანძილი იყო, სამეფო ტახტი ყველაზე მაღალ მწვერვალზე იდგა და იქამდე ვინ მიაღწევდა!

ერთხელ ტკბილად ჩაძინებული მეფე სვავი უცნაურმა ხმამ გამოაღვიძა. სვავი ელდანაკრავი წამოიჭრა, რადგან ამის მსგავსი ხმა სხვა დროს არასოდეს გაეგონა; მაგრამ როგორც კი ფეხზე წამოდგა, უცხო ხმა შეწყდა და მთელს საბრძანებელში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სმენამ მომატყუაო, გაიფიქრა სვავმა და ისევ წამოწვა თვალის მოსატყუებლად. დაწოლისთანავე ხმა ისევ განმეორდა, ამჯერად უფრო მკვეთრად და მკაფიოდ.

მეფე სვავი საგონებელს მიეცა, — ეს რაღაც კარგის მომასწავებელი არაა, — გაიფიქრა და ძალიან შეწუხდა.

უცებ ხმა ისევ გაისმა ზედიზედ, ამჯერად სადღაც სულ ახლოს. სვავმა მეტი ვეღარ მოითმინა და მეუღლე გააღვიძა, იქნებ მირჩიოს რამეო, მაგრამ დედოფალ სვავს, აბა, რის რჩევა შეეძლო? ამ ხმის გაგონებაზე მას გული შეუღონდა. როცა გონს მოეგო და უცნაური ხმა ისევ გაიგონა, მან ტირილით სთხოვა მეუღლეს, ახლავე აქაურობას გავეცალოთ, წარღვნა მოდის, ქვეყანა უთუოდ დაიქცევა და როგორმე პირმშო მაინც გადავარჩინოთო.

დატრიალდნენ. მეფე სვავმა მძინარე ბარტყი ზურგზე შეისვა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და მთელი ოჯახი ცის უსაზღვროებისაკენ გაფრინდა.

ბევრი იფრინეს, თუ ცოტა იფრინეს, სვავები ვარსკვლავებს მიუახლოვდნენ. ახლა არც იმ მთის მწვერვალი მოჩანდა, სადაც მათი ტახტი იდგა, არც ღრუბლები, არც ჭაობი და არც შმორის სუნი ტრიალებდა ჰაერში. ირგვლივ ყველაფერი გაკაშკაშებული იყო. სვავებმა არ იცოდნენ, რა ბედი ეწია მათ ქვეყანას. არ იცოდნენ, შთანთქა თუ არა წარღვნამ. თუმცა ახლა რაღა თავში იხლიდნენ თავიანთი ქვეყნის ბედ-იღბალს. მთავარი ის იყო, თავად გადარჩენილიყვნენ და დაეფარათ ერთადერთი მემკვიდრე, რომელსაც ჯერაც არხეინად ეძინა მამის ზურგზე.

სვავებმა დიდხანს იფრინეს ცის უსაზღვროებაში, ვარსკვლავების მახლობლად. რაკი ნაჩვევი არ იყვნენ, ველარ გაუძლეს ელვარე შუქს და ნელ-ნელა ისევ ძირს დაეშვნენ. იფრინეს, იფრინეს, და ბოლოს, სადღაც შორს, გამოჩნდა ღრუბლებში გახვეული მთის მწვერვალები, ველ-მინდვრები, ზღვის შორეული სანაპიროები — ჭაობის შმორით აქოთებული მთელი ის ქვეყანა, სადაც ყველაფერი წინანდებურად თავის ადგილას იყო, სრულიად უცვლელად.

მეფე სვავი ისევ ტახტზე დაჯდა.

ნეტარებდა მეფე სვავი, რომ მისი მამულ-დედული ნირშეუცვლელად გადარჩენილიყო, მაგრამ მეფის ნეტარება ხანმოკლე აღმოჩნდა. მცირე ხნის შემდეგ ცა მოიწმინდა, ეზე გამობრწყინდა და ისევ გაისმა ის უცნაური ჰანგები.

— მიშველეთ! — სასოწარკვეთით დაიწივლა დედოფალმა. — წავიდეთ აქედან, ვიდრე გვიან არ არის, თავს ვუშველოთ!

— არა, არსად არ წავალთ! აქ რაღაც სხვა ამბავია! — მიუგო მეფე სვავმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს მზემ უფრო დააცხუნა, ქვეყანას უფრო კაშკაშა შუქი მოჰფინა. გალობა კვლავ ისმოდა და თანდათან უფრო ახლოვდებოდა.

ამ ამბავმა ახლა თვით მეფეც ჩააფიქრა, უმალვე გადაწყვიტა თვითონ თავის ოჯახთან ერთად უფრო შორს, იმ კაშკაშა ვარსკვლავების ზემოთ გაფრენილიყო, და ეს ქვეყანა კი თუნდ უფსკრულს შთაენთქა!

დედა სვავმა ის იყო ფრთხილად აიყვანა თავისი ბარტყი, რათა მეფე სვავისათვის ზურგზე შეესვა და დაუყოვნებლივ გასდგომოდნენ გზას, რომ სწორედ ამ დროს მზე დაბნელდა, ქვეყანას ჯანღი გადაეფარა, ირგვლივ ხის ფოთლებმა ფერი იცვალეს და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სვავებმა შვებით ამოისუნთქეს.

ღრმად ჩაფიქრებული მეფე სვავი კლდეზე იჯდა და უსიტყვოდ გადასცქეროდა დაბინდულ სივრცეს. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც ოდესღაც, მისი გამეფების დღეს. როგორც კი გულის შემაღონებელი ფიქრები მოიშორა, დაუყოვნებლივ გამოიძახა ორბი და ძერა.

მეფე სვავმა უამბო მათ ყოველივე, რაც შეემთხვა.

ორბი და ძერა გაოცდნენ. გაოგნებულებმა გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა ხმის ამოღება.

— რას გაჩერებულხართ? — დაუყვირა მოთმინებადაკარგულმა მეფემ. — ვინ არის, რომ ასე თავხედობს და მოსვენებას არ მაძლევს? იქნებ შეთქმულებას მიწყობთ? იქნებ ჩემი ტახტის დამხობა მოგიწადინებიათ?

— ეგ რამ გაფიქრებინათ, მწყალობელო? — გაიკვირვა ორბმა.

— მაგას ვინ გაბედავს, მეფეო? — მიაშველა ძერამ.

— მაშ, თუ არ თვალთმაქცობთ, გეცოდინებათ, ვინ მიტ-ღვევს მყუდროებას? — მეფე სვავი გამომცდელად მიაშ-ტერდა ორივეს.

— ვინ?.. — წაილუღლუღა ორბმა.

— ყოველივეს გიამბობთ! — უფრო გაბედულად მიუგო ძერამ.

— ოღონდ, იცოდეთ, სიმართლე მითხარით! — გააფრ-თხილა ისინი სვავმა.

— ბულბულს ეძახიან, ჩემო ხელმწიფევ! — მოკრძალე-ბით მოახსენა ორბმა.

— დიახ, ბულბულს! სწორია! მეც ასე გამიგონია, ნახვით კი არასოდეს მინახავს! — დაუდასტურა მას ძერამ.

— არ გამიგონია! — მკვახედ წარმოთქვა სვავმა და ფიქრს მიეცა.

— ჰმ, მწყალობელო, რა ვუყოთ მერე, რომ არ გაგიგო-ნიათ! თქვენს ლამაზსა და დიად მამულში განა ცოტა ვინმე ცხოვრობს ისეთი, რომლის შესახებ არაფერი გაგიგონიათ? ერთის ხმამ დღეს პირველად ამოაღწია თქვენამდე ამ სიმაღ-ლეზე! — მოკრძალებით მოახსენა ორბმა.

— ბულბული!.. ბულბული!.. ბულბული!.. — თითქოს რაღაცას იგონებსო, ჩურჩულებდა სვავი და უკვე აღარ ეს-მოდა თავისი პირმოთნე ქვეშევრდომის დაშაქრული სიტყ-ვები. — მერედა, ვინ მისცა მთაში ამოსვლის უფლება?

ორბი და ძერა ყოყმანობდნენ, გაეცათ ამ კითხვაზე პა-სუხი თუ არა.

— არ იტყვით?! — გაბრაზდა სვავი. — თქვენ გეუბნე-ბით!

— აბა, რა მოგახსენოთ, დიდებულო მეფეო? აბა, ჩვენ რა შეგკადროთ?.. — გაუბედავად დაიწყო ორბმა.

— თავს ნუ იკატუნებთ!

— დიდი ხანია, ჩვენც თავი მოგვაბეზრა იმ ვაჟბატონ-მა, — განაგრძობდა ორბი, — სიცოცხლე გაგვიმწარა თავისი უმგვანო წრიპინით. აღარ ვიცით, სად გადავიკარგოთ. როცა ჩვენ განცხრომას ვეძლევით, ჭაობში ვნებივრობთ, მძორით პირს ვიტკბარუნებთ, როცა ირგვლივ ბაყაყების საამური ყიყინი და ყანჩების ყრანტალი ისმის, უცებ რაღაც უცხო ხმაზე შესძახებს, ცა მოიწმინდება, მზე დააცხუნებს, ჭაობები ამოშრება, ველ-მინდვრად ყვავილები გაიშლებიან, ხეები აშრიალდებიან. ის ზეიმობს, ჩვენ კი შიშით ვცახცახებთ.

— სრული სიმართლეა, მეფეო! —დაუდასტურა ძერამ და ორბსა და სვავს ლაქუცით შეხედა. — ჩვენ სამეფო კარის მომღერალი გვეგონა.

— ვინ, ბულბული? — გაიკვირვა მეფემ. — აკი წეღან ვამბობდი, ეგ სახელი პირველად მესმის-მეთქი! ნუთუ დღემდე არ იცით, რომ ჩემი მომღერალი ყვავია? როცა მოწყენა შემიპყრობს და ფიქრები ამერევა, მას მოვიხმობ ხოლმე, რათა მისი წარმტაცი გალობით ცოტა გული მოვიოხო და წუთით მაინც განვიქარვო დარდები!

— ჩვენ კი გვეგონა... — წამოიძახა ორბმა.

— მე არ ვიცი, თქვენ რა გეგონათ, — გააწყვეტინა სკავმა, — კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ, ვინ მისცა ბულბულს აქ, მთაში, ამოსვლისა და თავისი საზიზღარი ხმით ჩემი შეწუხების უფლება?

— აბა, რა მოგახსენოთ, მეფეო?.. — მოკრძალებით ჩაილაპარაკა ორბმა.

— სრული სიმართლეა, მწყალობელო! — დაუდასტურა ძერამ.

— კრინტი! თავის მართლებას ნუკი მოჰყვებით! — მრის-

ხანედ შესძახა სვავმა. — დაუყოვნებლივ გაფრინდით, სადაც იყოს და არ იყოს, შეიპყარით და დღესვე მომგვარეთ ის თავხედი. აქვე საჯაროდ დავსჯი ასე უტიფრად ჩემი შეწუხების გამო! აბა ჩქარა!..

— ეს ყველაფერი კარგი, მეფეო, მაგრამ... — შეჰბედა ორბმა.

— რა „მაგრამ“? — გააწყვეტინა სვავმა.

— მოგახსენებენ, ბულბული ძალიან ფრთხილი ფრინველიაო. ვაითუ ვერ მოვახერხოთ ასე მოკლე დროში მისი ხელში ჩაგდება. მაშინ რაღა ვქნათ?

— სრული სიმართლეა, მწყალობელო, რაც ორბმა მოგახსენათ! — დაეთანხმა ორბს ძერა. — ძალიან ფრთხილიაო, ამბობენ. მის შეპყრობას ასე ადვილად ვერ მოვახერხებთ.

სვავი ჩაფიქრდა.

— მაშ კარგი, ორი დღის ვადა მომიცია!

ორბსა და ძერას რაღა უნდა ექნათ, მეტი ყოყმანი უკვე აღარ შეიძლებოდა. უმალვე ფრთა ფრთას შემოჰკრეს და მეფის სურვილის შესასრულებლად გაემართნენ.

ორბმა და ძერამ იფრინეს, იფრინეს, ბევრი იფრინეს, თუ ცოტა იფრინეს, ბარად ჩამოფრინდნენ, მილეთის ფრინველები შეყარეს და მეფე სვავის ბრძანება გამოუცხადეს. ყველას თავზარი დაეცა: ბულბულს როგორ დავიჭერთ, როცა ის თვალითაც არ გვინახავსო... ბევრი დავიდარაბისა და ყაყანის შემდეგ ბულბულის შეპყრობა შევარდენს დაევალა.

— აბა, შევარდენო, არ შეარცხვინო შენი სახელგანთქმული წინაპრები, პირნათლად შეასრულე მეფე სვავის ბრძანება და გვასახელე! — შესძახეს მას წეროებმა და ყარყატებმა, ყანჩებმა და ყვავ-ყორნებმა...

ბულბულზე მონადირეს ორბი და ძერაც თან გაჰყვნენ.

ბარში დარჩენილი ფრინველები ისევ თავიანთ ჭყანტრ-ებებს დაუბრუნდნენ და კვლავინდებურად განცხრომას მი-ეცნენ.

შევარდენი, ორბი და ძერა დიდხანს მიფრინავდნენ. ბო-ლოს, ერთ უდაბურ ტყეში, მაღალ ხეზე ჩამოსხდნენ. ამ დროს უცებ ცა მოიწმინდა, გამოჩნდა კაშკაშა მზე, მთელი ტყე აშრიალდა და სადღაც შორიახლო ბულბულის სტვე-ნაც გაისმა.

— აი, გესმის? — წამოიძახა ორბმა.

— ის არის! — გაუხარდა ძერას.

— ფრთხილად, თორემ თუ ჩვენი აქ ყოფნა გაიგო, გაი-ნაბება და ფოთლებში გაუჩინარდება! — გადაუჩურჩულა მათ შევარდენმა.

სამივე უხმაუროდ გადაფრინდა იმ მხარეს, საიდანაც სტვენა მოისმა. სტვენა განმეორდა.

— ადგილი შეინაცვლა, ახლა ამ მხარეზეა! — წაიჩურ-ჩულა ორბმა.

— ეს ფანდი არ გაუვა! — შევარდენმა მახვილი თვალით გაიხედა ტოტებში და ფრთები აიწურა გასაფრენად. — აი, იმ რცხილის ტოტზე ზის!

სამმა მონადირემ რცხილას სამი მხრიდან შემოუარა.

ბულბულმა უმალვე იგრძნო მოახლოებული საფრთხე. გასაქცევი გზა აღარსად იყო და მაღლა სივრცეში აფრენა ამჯობინა, მაგრამ ფრთამალ შევარდენს სად გაექცეოდა? იგი უმალვე თავზე წამოაფრინდა და საბრალო ბულბული ბასრ ჭანგებში მოიგდო.

გამარჯვებული შევარდენი, ორბი და ძერა მეფე სვავის სასახლისაკენ გაუდგნენ გზას. დანიშნულ დროზე მივიდნენ

კიდეც. მეფე სვავი სიხარულისაგან კინაღამ გადაირია, ოლ-
ცა დატყვევებული ბულბული მიჰგვარეს. შევარდენი უს-
ვად დაასაჩუქრა, თავისი ტახტის მცველად დანიშნა, ორბი
და ძერა წყალობით აავსო და იქვე დაიტოვა ბულბულის სა-
ჯარო გასამართლებაზე დასასწრებლად.

დადგა ბულბულის გასამართლების დღე. სვავი ტახტზე
დაბრძანდა, ცალ მხარეს დედოფალი მოისვა, მეორეზე —
მემკვიდრე. იქვე იყვნენ იმ დღისათვის საგანგებოდ მო-
წვეული ყარყატი, ყანჩა და მეფე სვავის კარის მგალობე-
ლი — მგოსანი ყვავი. ორბსა და ძერას ბულბული ჭანგებით
გაეკაჩათ და ტახტის წინ მორჩილად იდგნენ.

— ჰმ, ვაჟკაცურად კი უჭირავს თავი! — დამცინავად
ჩაილაპარაკა სვავმა.

— მართლა გულადი ჩანს! — დაუდასტურა დედოფალმა.

— კრ, კრ, კრ!.. — ყვავს არ ესიამოვნა, ბულბულს ვაჟკა-
ცობა რომ შეუქეს, და აიფხორა. ბულბულს კი მართლაც
თამამად ეჭირა თავი.

— სახელი! — ზიზღით შეეკითხა სვავი.

— ბულბული! — იყო მკვირცხლი და თამამი პასუხი.

— ჰო, ბულბული!.. ბულბული!.. — გააჭიანურა სვავ-
მა. — მერედა, რას ნიშნავს ეს ბულბული?

— მგალობელს! — ისევ მკვირცხლად და თამამად მიუ-
გო ბულბულმა.

— რას დაძვრები ამ ტყეებში? — გაბრაზდა სვავი.

— ვგალობ!

— ჰა-ჰა-ჰა... — ახარხარდა სვავი.

— ჰა-ჰა-ჰა... — მლიქვნელურად ბანი მისცეს ორბმა და
ძერამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს წუნკალი თურმე გალობას ეძახის თავისს წრიპინს! — ჩაილაპარაკა ორბმა.

— სრული სიმართლეა! — დაუდასტურა ძერამ და მოკრძალებით გახედა სვავს.

— კრ, კრ, კრ! — ისევ უსიამოვნოდ შეიფოფრა ყვავი, ყარყატმაც აღარ დააყოვნა დაიყრანტალა და სიცილი დაიყარა ბულბულს.

— მგალობელო ბულ-ბუ-ლო, მაინც რას უგალობ აქ?— ნიშნის მოგებით შეეკითხა ბრალდებულს სვავი.

— მე ვუგალობ მზის ამოსვლას, გაზაფხულის მობრძანებას, ჩემს დედა-სამშობლოს... მე მისი მარადიული ძლიერების, უძლეველობისა და უკვდავების მომღერალი ვარ...

— კრინტი! — შესძახა სვავმა და თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია.

ბულბული გაჩუმდა.

განრისხებულმა სვავმა ცეცხლისმკვესავი თვალები ირგვლივ მიმოავლო. ყველა დარწმუნდა, რომ საშინელი იქნებოდა მეფე სვავის განაჩენი. ამ დროს ადგილზე შეფრთხიალდა სვავის მემკვიდრე და მამას მოეხვია:

— ძვირფასო მამა... ძვირფასო მამა... შეხედე, რა ლამაზია, შეხედე! ეს ერთი დანაშაული აპატიე... ცოდვაა...

სვავმა მოიშორა შვილი და ის იყო, უნდა გამოეცხადებინა კიდეც თავისი გადაწყვეტილება, რომ ახლა დედოფალი შეევედრა:

— ჩემო მეფეო, ჩემი გულის მეუფევ, ჩემო მბრძანებელო! მართალია, ამ უტიფარ ფრინველს დიდი დანაშაულობანი აქვს ჩადენილი, მაგრამ, რაკი შენს თვალის ჩინს, შენს საყვარელ პირმშოს დღემდე ამის მეტი არაფერი უთხოვია

შენთვის, ეს პირველი თხოვნა აუსრულე... ნუ გააწბილებ, გულს ნუ მოუკლავ შენს მემკვიდრეს!..

ირგვლივ გაუბედავი ყიპყიპი ატყდა. ყვავი აიფხორა. ბულბული კი ისევ ამაყად იდგა და მეფე სვავის განაჩენს ელოდა.

— მხოლოდ იმ პირობით, — ბრძნულად დაიწყო სვავმა, — თუ ის ამიერიდან ერთგულებას და თავდადებას გამოუცხადებს ჩემს ქვეყანას, თუ ხმას გამოიცვლის და კარის დიდებული მგოსნის, ყვავის, მსგავსად ქება-დიდებას შეასხამს ჩემს ძლევამოსილებას!

კრ, კრ, კრ! — მოწონებით შემოსძახა ყვავმა, დასტურის ნიშნად ყარყატიც აყაყანდა.

— არა, ყარყატთა, ჩხიკვთა, ყვავ-ყორანთა და სხვათა მეფეო! — განაცხადა პასუხად სამსჯავროს წინაშე წარმდგარმა ბულბულმა, — არა! მე ვერასოდეს გამოვიცვლი ჩემი დიდებული წინაპრების ხმას, იმ ხმას, რომლითაც ისინი უმღეროდნენ კაშკაშა მზეს, გაზაფხულის შემობრძანებას, ვარდ-ყვავილებს, აყვავებულ, წალკოტოვან ქვეყანას, არა! ჯანღითა და ნისლით შებურვილ შენს ქვეყანას ისევ შენმა ყურმოჭრილმა მონებმა: ყარყატებმა, ჩხიკვებმა და ყვავ-ყორნებმა უმღეროონ!

— კმარა! — მრისხანედ შესძახა სვავმა და ტახტიდან წამოვარდა. — გაიყვანეთ და თავი მოჰკვეთეთ!

ამ დროს საკვირველი რამ მოხდა. ჰაერში გაისმა ბულბულის მომაჯადოებელი სტვენა. უცებ გრიგალი ამოვარდა, მიფანტ-მოფანტა ღრუბლები. ცა მოიწმინდა, აშრიალდა ტყე, ამოშრა ჭაობები, მთა-ბარი ვარდ-ყვავილებით მოიფინა.

სვავის სამფლობელო დაემხო. მალე შორიდან არწივის

ძლიერი ფრთების ტლაშუნმა მოატანა. ქვეყანა ზეიმსა
ნეტარებას ეძლეოდა. მეფე არწივი თავის სახელოვანი წი-
ნაპრების ოქროს ტახტზე ადიოდა, რომ ყვავ-ყორნების
მიერ ოდესღაც მიტაცებული, აოხრებული და იავარქმნილი,
მაგრამ მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა კიდევ უფრო აეყვა-
ვებინა.

1935 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაღლის კუდი

ერთ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი — ათია და სებე. სებე შრომისმოყვარე კაცი იყო, ცოლიც ასეთი შეხვდა და ორივე თავს ბედნიერად გრძნობდა. გამრჯე ცოლ-ქმარმა დოვლათით სავსე ოჯახი შექმნა. ერთიცა და მეორეც დღე და ღამე იმას ცდილობდნენ, რომ მტერსა და მოყვარეს ღირსეულად დახვედროდნენ.

მთელი სოფელი სებეს და ათიას შენატროდა, მაგრამ ცოლ-ქმარს ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ და ეს იყო მათი სადარდებელი.

— ერთი შვილი რისი მაქნისია? მიწის მუშაკაცს ბევრი შვილი უნდა ჰყავდეს, — გულისტკივილით იტყოდა ხოლმე სებე. ქმრის ამ აზრს ათიაც იზიარებდა, მაგრამ რა გაეწყობოდა, ბედს წინ ხომ ვერ აღუდგებოდა?

გადიოდა დრო. რაკი ვაღურია დედისერთა იყო, ათია პატარაობიდანვე ცივ ნიავს არ აკარებდა, ყოველთვის სხვებზე უკეთ და ლამაზად ჩაცმულ-დახურული დაჰყავდა, არაფერს აკეთებინებდა და ძალზე ანებივრებდა.

სებე კი სულ სხვა აზრისა იყო. უნდოდა, შვილისათვის თავიდანვე ჩაენერგა შრომის სიყვარული, ესწავლებინა საქმის კეთება, რომ ვაღურია პატარაობიდანვე შესჩვეოდა ოჯახზე ზრუნვას, რომ შემდეგ, როცა მშობლები აღარ ეყოლებოდა, ცხოვრება არ გასჭირვებოდა.

ჯერ ცოტას მე შემეშველება, მერე კი, როცა გაიზრდება, ცოდნა თვითონვე გამოადგებაო, — ფიქრობდა წინდახედული კაცი.

მაგრამ ვაღურია აინუნშიაც არ აგდებდა მამის სურვილს, ხელის განძრევა ეზარებოდა. რაც არ უნდა დაესაქმებინათ, აუცილებლად შეეცდებოდა მისი გაკეთება თავიდან აეცდინა, ან სხვა დროისათვის გადაედო. გონიერი მამა ხედავდა, რომ ბედოვლათი შვილი ეზრდებოდა. ამაში ბრალს, რა თქმა უნდა, ათიას სდებდა და ხშირად უსაყვედურებდა კიდეც.

— სულ შენი ბრალია, დედაკაცო. აქედანვე აჩვევ სიზარმაცეს. დილით დროზე არ აყენებ; ვიდრე მზე კარგა მაღლა არ წამოიწევა, ლოგინში გიწევს, შენ კი ფეხისწვერებზე დადიხარ, რომ ძილი არ დაუფრთხო.

— რა ვქნა, მეტი ვინ გამაჩნია. ჯერ ბავშვია, შე კაცო. არ მინდა, აქედანვე წელი მოვწყვიტო მუშაობით. ნათქვამია, ბავშვს წოლა, მოსვენება და ძილი ზრდის, კუნთებს უმაგრებსო.

— ტყუილია, დედაკაცო! ძილი, წოლა და ლოგინში ზმორება კი არა, ადრე ადგომა, შრომა და გარჯა აკაჟებს ადამიანს. საქმის კეთებასაც აქედანვე უნდა შეეჩვიოს, მერე გვიანღა იქნება, გაუჭირდება. ახლა რა უშავს, არხეინად გრძნობს თავს: იცის, რომ არაფერი მოაკლდება — არც სასმელ-საჭმელი და არც ჩასაცმელ-დასახური... ჯან-ღონით სავსე დედ-მამა თავს დავტრიალებთ. მერე, ჩვენ რომ დავიხოცებით, მაშინ რაღას იზამს?

-- მერე? — დაბნეულად გაიმეორა ათიამ.

— ჰო, მერე!.. როცა მე არ ვიქნები, როცა შენ არ ეყოლები მოსარჩლედ და ქომაგად, როცა მარტო დარჩება ამ-

ქვეყნად და ცოლ-შვილსაც მოეკიდება, მტერსა და მოყვარეს რა პასუხს გასცემს?

— არ მესმის, სებე, ამ ბავშვს რას ჩააცივდი!

— შენ არ გესმის, ათია, მე კი მესმის. თუ შრომას აქედანვე არ შეეჩვია, თუ შრომის ფასი აქედანვე არ გაიგო, თავის ოფლით მონაგარს გემო აქედანვე არ გაუგო და თაღლითობას მიეჩვია, საკუთარი არაფერი ექნება, მშიერი ივლის, სხვის ლუკმას დაეხარბება, ხელსაც წაუპოტინებს, იქნებ იქურდოს კიდეც... დაიკარგება!..

— რა ვქნა, შე კაცო, მებრალება, ბალღია, უსუსური! აბა, როგორ დავსაქმო? ერთი ჩემს გულში ჩამოიხედე! დილით ადრე როგორ ავაყენო? მირჩევნია, მე თვითონ გავაკეთო ყველაფერი. დედისერთა გვყავს. ცოტა ინებივროს, სანამ ბალღია; ეს დრო ისევ ხომ არ დაუბრუნდება? მერე ხანი გაივლის, ჭკუაში ჩავარდება და თვითონვე...

ათიამ თავადაც კარგად იცოდა, რომ ქმარი მართალი იყო, მაგრამ შვილისადმი სიბრალული მაინც სძლევდა და, რაც არ უნდა დაეშავებინა, ყოველთვის ცდილობდა გაემართლებინა ვაღურია.

გადიოდა დრო. სახლიდან დილით ადრე გასული ვაღურია გვიან საღამოს ბრუნდებოდა შინ. ვერავითარ საქმეს გულს ვერ უდებდა. როცა მამა უსაყვედურებდა, ყოველთვის დედას გადახედავდა ხოლმე, რადგან იცოდა, დედა აუცილებლად გამოესარჩლებოდა. ამიტომ თავისას არ იშლიდა—ცხოვრობდა უდარდელად და უზრუნველად. როცა წამოიზარდა — ტანი აიყარა და ულვაშები დაიმშვენა — ნადირობა დაიწყო. ეს იყო მისი ერთადერთი საყვარელი თავშესაქცევი საქმე და მთელი სოფელი ნადირობის ტრფიალს ეძახდა. ვაღურია მთელი დღე სანადირო თოფს წმენდდა, ან მონადირე ძაღლს წვრთნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაღურიას ძალიან უყვარდა თავისი მონადირე ძაღლი — წკურია.

— ჩვენებური წავწკავა კი არაა, — უცხო ჯიშისაა. შეხედეთ, რამსიმაღლე ფეხებზე დგას, ან რა ლამაზი თავი და ყურები აქვს! — ვაღურია ეფერებოდა ძაღლს, ხელს უსვამდა თავზე, მერე ზურგზე, მაგრამ, როცა მოგრეხილ კუდისკენ გაიხედავდა, თვალებს უსიამოვნოდ ჭუტავდა, არ მოსწონდა ძაღლის კუდი.

—ეს ღმერთძაღლი, ან ასეთი ლამაზი არ იყოს, ან ეს კუდი არ ჰქონდეს ასე საოცრად მოგრეხილი. მონადირე ძაღლს კუდი ლარივით სწორი უნდა ჰქონდეს! — ამბობდა ვაღურია გაგულისებით და თვალს არიდებდა წკურიას კუდს.

ვაღურიას თავიდანვე აეკვიატა ერთი აზრი: რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ლარივით გაესწორებინა წკურიას მოღრეცილი კუდი. ეს გახდა მისი მთავარი საზრუნავი. ვის არ შეეკითხა, იქნებ რამე წამალი მასწავლოთო. მართლაც ზოგმა რა ასწავლა და ზოგმა — რა. საშველი მაინც არ დაადგა: კუდი ძველებურად მოგრეხილი დარჩა.

წკურია მართლა კარგი მონადირე ძაღლი იყო. ვაღურია ისე არ დაბრუნდებოდა ნადირობიდან, რომ თითო-ოროლა კვათარი, ან სხვა რაიმე ნანადირევი არ მოეტანა შინ. ამიტომ უფრო მეტად შეუყვარდა ძაღლი და დაიფიცა, მოგრეხილი კუდი უსათუოდ უნდა გავუსწოროო.

სებე ყოველივე ამას ყურს უგდებდა. უთმინა, დიდხანს უთმინა შვილს, ბოლოს, როცა არავითარმა რჩევა-დარიგებამ არ გასჭრა, ვაღურია თავისთან მოიხმო და დაყვავებით უთხრა:

— შვილო! ბევრი რჩევა-დარიგება მომიცია შენთვის, მაგრამ ყური არ გითხოვებია, თავს ისე იჭერ, თითქოს შენ

არც კი შეგეხებოდეს ჩემი სიტყვები... დიდი ხანია გაკვირ-
დები, კარგად ვხედავ, რა სატანჯველში ჩაიგდე თავი ამ
ძაღლის კუდის გამო. ქვეყანა ააყაყანე, დაგცინიან კიდეც, —
ამბობენ, ეს ძაღლის კუდი ასეთი რა გაუხდაო? მამისათვის
ძნელი ასატანია, როცა შვილს უჭკუობას შეამჩნევს ხალხი
და ქვეყანა ყბად აიღებს... მრცხვენია, შვილო, შენ გამო,
თან მებრალები... მოდი, ერთ რჩევას მეც მოგცემ!

— აბა, რა რჩევაა? — უკმეხად ჰკითხა ვაღურიამ.

— ასეთ მკვახე სიტყვებს ნუ ისვრი, შვილო!

— მოკლედ მოსჭერი! — შეუღრინა ვაღურიამ.

— აი რა, შვილო, — დაუყვავა სებემ, — ღმერთს უმცროს-უფროსობა იმისათვის დაუწესებია, რომ უმცროსმა უფროსს გაუგონოს, მის რჩევა-დარიგებას დააკვირდეს, რომ უმცროსმა უფროსისაგან ჭკუა ისწავლოს, ცხოვრების სიბრძნე შეიძინოს... მე მამა ვარ შენი და, უნდა იცოდე, რომ ყოველი გონიერი შვილი ვალდებულია, უწინარეს ყოვლისა, მამას უჯეროდეს, მას ჰბაძავდეს, მის ნაკვალევზე დადიოდეს...

— აკი გითხარი, მოკლედ მოსჭერი-მეთქი! — შეუტია გაღიზიანებულმა ვაღურიამ.

— ჰო, კარგი, კარგი, მოკლედ მოვჭრი, — მიუგო შვილის პასუხით განაწყენებულმა მამამ. — რამდენი ხანია მესმის შენგან ძაღლს კუდი ლარივით სწორი უნდა ჰქონდეს. წამალი მასწავლეთ, რომ გავუსწოროო, იმასაც ვხედავ, ხალხი როგორ დაგცინის, მასხარად გიგდებენ, უჭკუობას გწამებენ... მამაშენის შვილს... მართლა და მართლა, ისეთი რა გახდა ეს დასაწვავი ძაღლის კუდი? თუ აგრე გაწუხებს, ადექი და სულ მოიშორე თავიდან.

— რა მოვიშორო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა და, კუდი! ამას რა დიდი დავიდარაბა უნდა!

— მაინც როგორ?

— მოსჭერი!

— მოვჭრა? როგორ უნდა მოვჭრა?

— ადვილი საქმეა; როცა დაღლილი ძაღლი ჩეროში მიწაზე გაიშხლართება და კუდს განზე მოიგდებს, მიეპარე, წალდი დაჰკარი და მოსჭერი!

— მერე უკუდო ძაღლი ვატარო სანადიროდ? ხომ დამცინა ქვეყანამ!

— ახლა უფრო არ დაგცინიან? — და რაკი დაატყო, რომ ვერაფერს გახდა, გაბრაზებულმა სებემ შეჰყვირა: — ამ ხნის კაცი მოვიყარე, ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა არაფერი დამკლებია. ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეცხოვრა. რისთვის გამიმწარე წუთისოფელი შენი ფუქსავატობით? ნუთუ ამ ძაღლის მოგრეხილი კუდის გასწორებაზე უფრო სასარგებლო საქმე ვერაფერი იპოვე? რა გაგიხდა ეს კუდი ასეთი, ადამიანო, აღარ იტყვი?!

ვაღურიამ იწყინა მამის გაანჩხლება, პასუხის გაცემის მაგიერ წამოხტა და ჭიშკრისაკენ ხმაამოუღებლად გაემართა.

გაოგნებული სებე აივანზე დარჩა. ერთ ხანს უსიტყვოდ უყურებდა მიმავალ შვილს, მერე მაღლა აღაპყრო ორივე ხელი და ნაღვლიანად შეჰღაღადა:

— ღმერთო მაღალო, ისეთი რა შეგცოდე, ისეთი რა დანაშაული მიმიძღვის შენ წინაშე, რომ ერთადერთი შვილი მომიგდე, ისიც ასეთი თავფქვილა და ჭკუათხელი?

— ღმერთს ნუ სცოდავ, შე უბედურო! ზოგს ერთიც არა ჰყავს! — მიაძახა ქმარს ათიამ.

სებე უმალვე ცოლისაკენ შეტრიალდა.

— სულ ნუ მეყოლებოდა. ის ერთიც ნუ მეყოლებოდა, ჩემი თავის მომჭრელი, ჩემი შემრცხვენელი. ასე არ გავ-მწარდებოდი, ასე ადრე და მალე არ მომეღებოდა ბოლო!

— გადიოდა დრო.

მამა და შვილი ამ შეჯახების შემდეგ უბრად იყვნენ. ცდილობდნენ, პირისპირ არ შეხვედროდნენ ერთმანეთს. სებე დღედაღამ ისევ საოჯახო საქმეებს დასტრიალებდა; ათიაც ცდილობდა, რაც კი შეეძლო, უღელი გაესწორებინა მისთვის, შეშველებოდა ცხოვრების მძიმე ტვირთის თრევაში.

ნადირობას გადაყოლილი ვაღურია ისევ ტყე-ღრეს ედებოდა, სხვა არაფერი ახსოვდა.

ერთხელ მხარზე თოფგადაგდებული ვაღურია ნადირობიდან ბრუნდებოდა, საკმაო ნანადირევი მოჰქონდა და ძაღლიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ წისქვილთან მივიდა. წისქვილის წინ, მორზე, სამი გლეხი იჯდა და ბაასობდა. ვაღურია მიახლოების უმალვე მიესალმა მათ და თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

— დაწექი! — უბრძანა ძაღლს. ძაღლმა მაშინვე შეასრულა პატრონის ბრძანება.

— ამბობდნენ, მაგრამ არ მეგონა, თუ ასეთი ჩინებული ძაღლი იყო! — ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა.

— განა არ ეტყობა! ზოგიერთი ადამიანიც კი არ დაგიჯერებს ასე, — გაეპასუხა მეორე.

— რა მაგისი პასუხია და, ვაღურია ჩემო, მაგის კუდის გასწორებაზე ვერაფერს გახდი? — შეეკითხა მონადირეს მესამე გლეხი, რომელიც თავშესაქცევად ხელ-წალდით ხის ტოტს ჩორკნიდა.

— ვერა, ვერაფერი მოვუხერხე! — მიუგო გულისტკი-

ვილით ვაღურიამ, — ზოგმა რა მასწავლა, ზოგმა — რა, საშველი მაინც არ დაადგა. ბოლოს მამაჩემმაც მირჩია ერთი უცნაური რამ. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ იმას მაინც ვერ გავაკეთებ...

— მაინც რაო, რა გირჩია, თუ კაცი ხარ? — დაინტერესდა ხელ-წალდიანი გლეხი, შემოხვეული ყაბალახი მაღლა აიწია, წარბებამდე ჩამოშვებული შეჭაღარავებული ქოჩორი გამოაჩინა და ღრმად ჩამჯდარი თვალები ვაღურიას მიაპყრო, — ცუდს არაფერს გირჩევდა მამაშენი, ჭკვიანი კაცია.

— იმას მაინც ვერ ვიზამ, თუნდ...

— მაინც რა თქვა მაგისთანა, რა გირჩია, რაო? — ჩაეცივდა გლეხი.

— რადა, როცა დაღლილი ძაღლი ჩეროში მიწაზე გაიშხლართება და კუდს განზე მოიგდებს, მიეპარე, წალდი დაჭკარი და მოსჭერიო...

გლეხებს სიცილი წასკდათ.

— რა გაცინებთ, მართალი უთქვამს! სებე ჭკვიანი კაცია, სწორად ურჩევია! რამდენადაც ვიცი, ეს ძაღლი უკვე ბებერია და, თუ ვაღურია კუდს მოსჭრის, სიჯეელე დაუბრუნდება, მეორე ძაღლობას გასწევს, კუდი კი, რაც დარჩება, ლარივით სწორი ექნება! სწორად უთქვამს, ბიძია, მამაშენს, რას ერჩი! შენს ადგილზე რომ ვიყო, წუთითაც აღარ დავფიქრდებოდი...

— არა, ამას ვერ ვიზამ!

— ვითომ რატომ?

— კუდმოჭრილი ძაღლი როგორღა ვატარო სანადიროდ? ქვეყანა დამცინებს! — მიუგო ვაღურიამ და წამოდგა. ძაღლიც ადგა და პატრონს მიაჩერდა, ახლა რაღას მიბრძანებსო.

— შეხედე, რა გონიერია, როგორც კი პატრონი წამოდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გა, ისიც ფეხზე ადგა. იცის, რომ შინ უნდა წავიდეს! — შენიშნა ერთმა.

— იცი, რას გეტყვი, ჩემო ვაღურია? — ახედა ხელწალდიანმა, — ერთ რამეს მეც გასწავლი. დაფიქრდი, თუ ჭკუაში დაგიჯდეს, გააკეთე. სულ ადვილი საქმეა.

— მაინც რას? — დაინტერესდა ვაღურია.

— რაკი კუდის მოჭრა არ გინდა, კალაპოტში ჩაუდევი და გაუსწორდება!

— კალაპოტში? — გაიკვირვა ვაღურიამ.

— ჰო, მართალს გეუბნები, ხის კალაპოტში. ოღონდ, კუდი წინასწარ უმარილო ღორის ქონით რაც შეიძლება მაგრად უნდა დაუზილო და მერე ჩაუდო კალაპოტში; მაგრამ, ვიდრე კუდი კარგად გაუსწორდებოდეს, მოცდა დაგჭირდება.

— მაინც რამდენ ხანს უნდა ვიცადო?

— საქმეც ეგაა. კაი გვარიან ხანს!

— ნუ დამტანჯე ახლა. მოკლედ მითხარი! რამდენ ხანს უნდა იდოს კალაპოტში კუდი? — ვეღარ ითმენდა ვაღურია.

— აი, საქმეც ეგ არის-მეთქი, არ გითხარი? სრული ორი წელი!

— უჰ, შე კაცო, ორი წელი რა ამბავია?

— აბა, როგორ გგონია, მთლად ისე იოლი კი არაა! სამაგიეროდ, თუ ღორის ქონით კარგად დაზელ და კალაპოტის სარქველს მჭიდროდ დახურავ, კუდი ლარივით გასწორდება, აბა!

— ამაშენე კაცი და ეგ არის! — გაუხარდა ვაღურიას, მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ დანაღვლიანდა. — რაო, კაცო, ორი წელი ძაღლს კუდი კალაპოტში უნდა ედოსო? ისიც უმარილო ღორის ქონში დაზელილიო? არ გადამრიო!

— ადვილი საქმე ნუ გგონია, ბიძია, თუ გინდა კარგად გაუსწორდეს, სწორედ ასე უნდა მოიქცე, — დაბეჯითებით უთხრა ხელწალდიანმა და სიცილისათვის შემზადებულ გლეხებს ანიშნა, — არ გაგეცინოთ, თორემ ამ გადარეულ ვაღურიას ცოცხალი ვერ გადავურჩებიო!

ვაღურია უსიტყვოდ გაშორდა იქაურობას. ძაღლიც გაჰყვა. როცა ვაღურია თვალთ მიეფარა, ერთი გლეხი მიუბრუნდა ხელწალდიანს:

— ეს რა ასწავლე, ბიჭო? სად გაგონილა, უმარილო ღორის ქონით დაზელილი ძაღლის კუდი ორ წელიწადს კალაპოტში იდოს? ეს რამ გათქმევინა, შე ეშმაკის ფეხო, შენა!

— მაგაზე მეტი სადარდებელი ნუ მოგცა ღმერთმა, ჰე, ჰე, ჰე! — გამქირდავად ჩაიქირქილა ხელწალდიანმა, — მამამისს სწორად უსწავლებია, ჭკუა რომ ჰქონდეს იმას დაუჯერებდა, — დაატანა მან სიცილით.

— მართალი ხარ, ჩემო ძმაო! მამამისის შვილს სხვისაგან ჭკუის სასესხებელი რა სჭირს? მამას გონივრული რჩევა მიუცია, ათასწილად ჯობდა, მისთვის დაეჯერებინა! — მიუგო მეორემ.

— რაც მე ვურჩიე, იმისაგან უფრო ისწავლის ჭკუას, — დინჯად ჩაილაპარაკა ხელწალდიანმა და ისევ ეშმაკურად ჩაიცინა. — შესაძლოა, ორი წლის შემდეგ მე ცოცხალი აღარ ვიყო, მაგრამ სხვები მაინც დაინახავენ ამას.

— რაღაცას ქარაგმულად ლაპარაკობ, შე კუდიანო! — უთხრა ხელწალდიანს მეზობელმა.

— აბა, რა გახდა მაგისი ძაღლის მოგრეხილი კუდი? ქვეყანა არ შეაწუხა?! კუდი გამასწორებინეთო, რა ხანია მესმის, საშველი კი არ დაადგა: ძაღლის კუდს რა გაასწორებს, შე კაცო, სად გაგონილა! რაც ჩვენს მამა-პაპას არ უქნია, იმას ჩვენ ვიზამთ ახლა? — ფიცხობდა ხელწალდიანი.

იმ ღამეს ვაღურიამ ბევრი იფიქრა, თუ ცოტა იფიქრა, წისქვილთან შეხვედრილი კაცის რჩევა ჭკუაში დაუჯდა.

მეორე დღეს ადგომა მან მზესაც დაასწრო და თავის მამასაც. უთენია ადგა, მკვირცხლად ჩაიცვა და ვიდრე დედა, ჩვეულებისამებრ, ასაუზმებდა, აივანზე გამოიტანა ხელსაწყოები: ცული და ხერხი, სატეხი და ხელეჩო, ფარგალი და შალაშინი. ხის კარგა მოზრდილი მორი გამოაგორა და ის იყო კალაპოტის გამოთლას უნდა შესდგომოდა, რომ უცებ მამა წამოადგა თავზე.

სებე ერთ ხანს უსიტყვოდ უყურებდა შვილს: გაკვირვებული მამა თვალებს არ უჯეროდა, ვაღურია არასოდეს არ ენახა ასე ადრე ამდგარი. წუხელ ისეთი რა დაესიზმრა, რომ ამ დილით ასე ფუსფუსებს, ან ეს ხელსაწყოები რად უნდაო, ფიქრობდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— ამას რას აკეთებ, შვილო? ვინ შენ და ვინ სადურგლო ხელსაწყოები?

სახეგაბადრულმა ვაღურიამ დაწვრილებით უამბო მამას, რაც წინადღით გლეხმა ასწავლა.

სებე ჩუმად უსმენდა შვილს. როცა მან ლაპარაკი დაამთავრა, გამწარებულმა მოხუცმა შუბლზე იტკიცა ხელი:

— ვაი ჩემს მოსწრებას, ეს რა ესმის ჩემს ყურებს? ღმერთო დიდებულო, ასე უბედური რად გამაჩინე? ჩემს შვილს ჩემი არა სჯერა და წისქვილთან შეხვედრილ ვიღაც ავყია კაცის ჭკუაზე დადის? სად გაგონილა ძაღლის კუდის გასწორება, ისიც ხის კალაპოტით! ტყუილია, შვილო დაგცინიან, მასხარად გიგდებენ!

— არ გასწორდება? — გაოცებულმა ვაღურიამ პირი დააღო.

— მაშ, შენა გგონია, გასწორდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, — ხმას აუწია ვაღურიამ.

— არა-მეთქი, ქრისტიანო, ძაღლის კუდს რა გაასწორებს? — კიდევ უფრო მეტად ცხარობდა სებე.

მამა და შვილი წინათაც ბევრჯერ წაკინკლავებულან, შეუტევიათ ერთმანეთისათვის, მაგრამ მათი ურთიერთობა ისე არასოდეს გამწვავებულა, როგორც იმ დილას. გაალმასებულ მამა-შვილს შორის ისევ ათია ჩადგა, შვილს მზრუნველობის კალთა გადააფარა და ქმარს შეუტია:

— კარგი, დაწყნარდი, შე უბედურო, რაზე იკლავ თავს!

— ძაღლს კუდს ასწორებს ეს შენი ვაჟიშვილი. ქვეყნის სამასხარაოდ უნდა იქცეს. კუდზე ხის კალაპოტი უნდა გავუკეთოო. იმ კალაპოტით ატარებს სანადიროდ?! ძაღლი შინ უნდა ეგდოს ორი წელიწადი და ნაოფლარი ლუკმა ტყუილ-უბრალოდ უნდა ვაჭამო ამ ორ ბედოვლათს—ძაღლსა და შვილს!.. კუდზე კალაპოტმობმული ძაღლის რჩენაღა მაკლდა ამ სიბერეში! არ მომეწყო საქმე! გაიხარე, მტერო!

— კარგი, კარგი, დაწყნარდი, შე საცოდავო. შენი ჭირი შენვე უნდა მოინელო, სხვა რა გზაა?

— არის, არის სხვა გზა. წინ ნუ მეღობები. დღესვე უნდა მოვიშორო ორივე თავიდან.

— გაჩუმდი, რას ამბობ, ეგ რამ გათიქრიბინა?!

ქალმა ძლივძლივობით დააშოშმინა ბოღმით გულგასიებული ქმარი.

სებე და ვაღურია ამის შემდეგ ისევ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთის თვალში შეხედვას ერიდებოდნენ. როცა ერთი შემოდიოდა, მეორე გარეთ უნდა გასულიყო.

ვაღურიამ მაინც თავისი გაიტანა. კალაპოტი გამოთალა,

ძაღლს კუდი უმარილო ღორის ქონით კარგად დაუზილა, კალაპოტში ჩაუდო, ზედ სარქველი დაახურა და მაგრად დაკეტა. ძაღლი სანადიროდ ვეღარ დადიოდა, ერთ ადგილზე იწვა და ყველას, გამვლელსა და გამომვლელს, ხელებში შეჰყურებდა, იქნებ ვინმემ ლუკმა მომიგდოსო.

გავიდა ხანი. სებე უფრო მოხუცდა, მოტყდა, ქარებისაგან დახუთული ლოგინად ჩავარდა. მის საყანე ადგილებს ახლა უკვე არავინ ხნავდა, არავინ თესდა, არავინ მარგლიდა, წინანდებურად ლაიტი აღარ ბიბინებდა მის არემარეზე. ეზო-კარმიდამო გავერანდა და უპატრონოს დაემსგავსა. შემოდგომობით აღარ ისმოდა ჭირნახულით დატვირთული ურმების ჭრიალი. ბეღლებიც დაცარიელდა, ოჯახში შემომტანი აღარავინ იყო. ძველი მონაგარით თავი ძლივს გაჰქონდათ.

ნადირობასა და უსაქმოდ ყიალს დაჩვეული ვაღურია წინანდებურად ხელს არაფერს აკარებდა.

ერთ დღეს სებე მძიმე ავად შეიქნა, სულის ხუთვა დაეწყო, სიტყვის ამოთქმის ძალაც კი წაერთვა. ახლო ნათესავები და მეზობლები თავს დასტრიალებდნენ. ყველა ხედავდა, რომ ბერიკაცის აღსასრულის ჟამი მოახლოებულიყო.

— ათია, ათია! — ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა მომაკვდავმა.

ათია უმალვე მიიჭრა ქმრის საწოლთან.

— რა იყო, გენაცვალე? — ათია თვალებში ჩააცქერდა სულთმობრძავ სებეს.

— ჩემი შვილი... ჩემი შვილი მომიყვანე... დამხედოს, ორიოდე სიტყვა მინდა დავუბარო.

ათიამ თხოვნა შეუსრულა. ვაღურია თავზე დაადგა მამას. სებემ უღონოდ ახედა შვილს.

— ცოტა წამომწიეთ! — ითხოვა ავადმყოფმა.

ათიამ ესეც უმალვე შეუსრულა. სებემ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ხელებზე დაეყრდნო, დიდი გაჭირვებით წამოიწია, მიიხედ-მოიხედა, იქაურობა მოათვალიერა და მერე შვილს მიაჩერდა.

მამის წინ იდგა აწოწილი ვაღურია. სებეს სახე გაუბრწყინდა, თვალებში სინათლის შუქი მოემატა. დააკვირდა შვილს. თავისი ახალგაზრდობა მოაგონდა.

„მეც ასეთი ვიყავი ჭაბუკობისას. სულ მე მგავს, სულ მე“... — გაუელვა სებეს. უნდოდა უკანასკნელი ალერსიანი სიტყვა ეთქვა, მოფერებოდა შვილს, მაგრამ კალაპოტშებმული ძაღლი გაახსენდა, უცებ სახე შეეცვალა და თვალებზე თითქოს რიდე გადაეფარაო, — „არა, არა, მე არა მგავს, არა!..“

ავადმყოფის თვალებმა უფრო მრისხანე გამომეტყველება მიიღეს. სებემ ირგვლივ მიმოიხედა, უღონობისაგან ტუჩები აუკანკალდა და შვილს მიაცქერდა:

— როცა ორი წელიწადი გავა... როცა ძაღლის კუდს კალაპოტს მოხსნი, საფლავზე მოდი და ჩამომძახე. რაც ნახო! — ძლივს ჩაილუღლუღა სებემ, ნელ-ნელა დაეშვა ბალიშზე და მოღლილი თვალებიდან წყვილი კურცხალი ჩამოუგორდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ ვაღურიას ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ისევ უსაქმოდ დაეხეტებოდა. დრო ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა. ამასობაში ათიაც დაუძლურდა. წინანდებურად აღარ შეეძლო საქმის კეთება. უქნარა ვაღურიას ანაბარა მიტოვებული ოდესღაც სავსე ოჯახი დღითი დღე უკან მიდიოდა.

წინათ კოინდრით ლამაზად მოფენილ სებეს ეზოს ახლა შავი ბალახი და ქამენია მოსდებოდა. ოდა-სახლის საძირკველზე, რიკულებსა და ასასვლელ ხის კიბეზე, რომლის სა-

ფეხურები სიძველისა და სიდამპლისაგან ჩაქცეულიყო. ბალახბულახსა და ბარდებს ეხარა. ასევე ბალახბულახსა და ბარდებს დაეფარა უპატრონოდ მიტოვებული სებეს საფლავიც.

ვაღურიას არაფერი ადარდებდა, არხეინად გრძნობდა თავს.

გავიდა ორი წელი. ვაღურიამ გულის ფანცქალით გახსნა კალაპოტი. ამდენ ხანს ერთ ადგილზე წოლისაგან დახუთულმა ძაღლმა შვება იგრძნო. უმალვე ფეხზე წამოდგა, გაიზმორა, მერე შეიბერტყა და ლასლასით წავიდა ჭიშკრისაკენ.

გაოგნებული ვაღურია თვალებს არ უჯეროდა. ძაღლს კუდი ძველებურად მოგრეხილი ჰქონდა, არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. ვაღურია ბრაზმორეული გასცქეროდა ძაღლს, მიხვდა, რომ ამდენმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. უცებ შემოტრიალდა, უნდოდა თოფი გადმოეღო და ძაღლი იქვე მოეკლა, მაგრამ წკურია უკვე აღარსად ჩანდა.

ვაღურიას სწორედ ამ დროს მოაგონდა მამის უკანასკნელი სიტყვები: როცა ორი წელი გავა, ძაღლს რომ კალაპოტს მოხსნი, საფლავზე მოდი და ჩამომძახე, რაც ნახო!

ვაღურიას მოაგონდა მამის ეს სიტყვები და გაშეშდა. ის ახლაც იქვე დგას გაოგნებული და ვერ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ არა მამის საფლავზე. ანდა, რომ წავიდეს, რა ჩასძახოს? ჩასძახოს: მენ მართალი ყოფილხარ, ძაღლის კუდი არ გასწორდაო?

1943

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი და ბატკანი

ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა იყო ერთი ქვეყანა. იმ წარმტაც ქვეყანას მზიურს ეძახდნენ. მზიურს სამი მხრით მარად თოვლიან-ყინულოვანი, ცადაბჯენილი მთები ერტყმოდა გარს, მეოთხე მხრით კი ზღვა ესაზღვრებოდა.

მაღალი მთებიდან წანწკარით ჩამორბოდნენ ნაკადულები, მერე ერთდებოდნენ მდინარეებად, ჩანჩქერებად გადმოჰქუხდნენ სალ კლდეებზე და გრგვინვა-ხმაურით მოედინებოდნენ დაბლობისაკენ.

მდინარეების ნაპირებზე ზამთარ-ზაფხულ ფერად-ფერადი ყვავილებით მოქარგული ველები, კორდები და ჭალაკები გადაშლილიყო, ხოლო ყოველივე ამის იქით ლივლივებდა ლურჯი ზღვა.

ზღვის ახლოს, ბალახით მოხავერდებულ გორაკზე, ერთი ფარღალალა ფაცხა იდგა.

იმ ფაცხაში ცხოვრობდა მოხუცი ჯამულეთი. ბერიკაცს სამი შვილი ჰყავდა, სამივე ერთიმეორეზე უკეთესი: ტანადი, გულადი და სწორუპოვარი. ყართანი, გელა და თაყა. ისინი სდარაჯობდნენ მზიურის კარიბჭეს, რომელიც მოყვრად მოსულთათვის ყოველთვის ღია იყო, ხოლო მტრად მოსულთათვის მიუდგომელი და შეუღწეველი.

თვითონ ჯამულეთი, როგორც მისი სახელგანთქმული წინაპრები, მეცხვარე იყო.

იმ დალოცვილ ქვეყანაში საოცრად მრავლდებოდა ცხვარი. ჯამულეთიც სიყრმიდანვე თავს დასტრიალებდა ფარას. ცხვარი იყო მისი ერთადერთი საზრუნავი. ცხვრის ფარის დევნაში აღამებდა თავის დღესა და წუთისოფელს.

ბერიკაცი ყოველ ცისმარე დღე ადრე დგებოდა, ადგომისთანავე აჰყრიდა ცხვარს, საძოვარზე გარეკავდა და შებინდებამდე იქ რჩებოდა.

ასე გაატარა მან მთელი სიცოცხლე. ასე ცხოვრობდნენ მისი სახელგანთქმული წინაპრებიც, ისინიც ერთგულად უვლიდნენ და ამრავლებდნენ ამ მადლიან პირუტყვს.

საძოვარზე გასული ცხვრის ფარა სულ წინ მიიწევდა. გადადიოდა იონჯით მოხავერდებულ ველ-მინდორზე, კორდებზე, გორაკებზე.

ნეტარებით აღვსილი ჯამულეთი გაშლიდა თავის მოკლე ნაბადს, კომბალს გვერდით მოიგდებდა და სალამურს ააკვნესებდა. მის ტკბილ ჰანგებზე ცხვარი ნელ-ნელა მიბაკუნებდა, თან ხარბად ძოვდა რძიან ბალახს.

როცა მზე ცის ტატნობს გადაივლიდა, ზღვის გადაღმა ჩაიძირებოდა და საღამოს ბინდი მოახლოვდებოდა, ჯამულეთი უკვე შინ იყო, ცხვარს ფარეხში დააბინავებდა და ფაცხაში შევიდოდა...

ასე გადიოდა დრო.

ჯამულეთმა იმ დილითაც, ჩვეულებისამებრ, დაასწრო მზეს ადგომა, ფაცხიდან გამოვიდა, კლდიდან მოწანწკარე ნაკადულზე ხელ-პირი დაიბანა, მერე ხალთაში საუზმე ჩაილაგა, ზურგზე მოიგდო, კომბალი აიღო და ფარეხის კარი გააღო.

მაღალი მთების თოვლიან-ყინულიანი მწვერვალებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ნელ-ნელა ამოდიოდა. ჯამულეთმა სალამური ამოიღო და უმალვე გაისმა საამური ჰანგები.

ეს იყო მამაპაპური ჰიმნი მზისადმი— დილა მშვიდობისა! ბერიკაცის ირგვლივ თავმოყრილი ცხვრები ყურაცქვეტილი უსმენდნენ სალამურს. ამ სმენადგადაქცეულ ცხვრის ფარაში ჯამულეთი ფესვმაგარ მუხასავით იდგა. სალამურის ჯადოსნური ჰანგები ზღვის სანაპიროს ეფინებოდა.

როცა მზე მთლიანად ამოცურდა, როცა ის წუთით თითქოს დაეყრდნო მაღალ მწვერვალებს და ქვეყანა ოქროს სხივთა ბადეში გაახვია, სალამურის უკანასკნელი ჰანგებიც მიწყდა.

— დიდება შენდა! დიდება შენდა! — შეჰღაღადა ჯამულეთმა, კომბალი მხარზე გაიდო და ველებს გახედა.

მთელმა ფარამ პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა, ბაკაბუკითა და ხტუნვა-ხტუნვით გასწია წინ.

მეცხვარეც დინჯად მიჰყვა ფარას.

იმ საღამოსაც, როგორც კი ცხვარი დააბინავა, ჯამულეთი უმალვე ფაცხაში შევიდა, ცეცხლი დაანთო, ივახშმა და დაწვა, მაგრამ ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა. ვერ მოისვენა, თვალზე რული არ მიეკარა. თითქოს რაღაც აწუხებდა, რაღაცის ეშინოდა, მაგრამ რისი შიში უნდა ჰქონოდა ამ მუხასავით მაგარსა და ჯანგაუტეხელ კაცს, სამი გულადი ვაჟიშვილის მამას?

ჯამულეთმა კიდევ დიდხანს იტრიალა, იბორგა, მერე, როცა შეატყო, რული არ მომეკარებაო, ადგა და გარეთ გამოვიდა. ირგვლივ მყუდროება სუფევდა. ნიავიც არ იძვროდა. გაბადრული მთვარე ვერცხლის შუქს აფრქვევდა დედამიწას. ზღვა მძიმედ სუნთქავდა. ჯამულეთმა ფარეხსა და ფაცხას ირგვლივ შემოუარა. ყველაფერი რიგზე იყო. უკან

შემობრუნდა, კერიის პირას წამოწვა და, რაკი არ ეძინებოდა, სალამურს ჩაჰბერა. ღამის მყუდროებაში დიდხანს ისმოდა მისი საამური ჰანგები...

გათენდა.

ისეთი მყუდრო დილა დადგა, როგორიც, საერთოდ, იცოდა იმ დალოცვილ ქვეყანაში. ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო, მაგრამ ის დილა მაინც არ ჰგავდა ათასობით სხვა დილას. ჯამულეთი იმ დილას ფაცხიდან არ გამოსულა, წყაროზე ხელ-პირი არ დაუბანია, ფარეხის კარი არ გაუღია, ცხვარი არ გამოუშვია, ალერსიანად არ მიუმართავს, ხომ არ მოგშივდათო, არ დამდგარა პირით აღმოსავლეთისაკენ, არ უთქვამს ჰიმნი მზისადმი და არც სალამური აუკვნესებია.

არ ჩანდა ჯამულეთი, არც მისი სალამურის ხმა ისმოდა. დილაადრიან გარეთ გამოშვებას დაჩვეული ცხვრები ფარეხის ღრიჭოებიდან იცქირებოდნენ. მათ თვალებს ჭრიდათ მზის სხივები, რადგან დილით, ამ დროს, არასოდეს ყოფილან ფარეხში გამოკეტილნი. დიდხანს იწრიალეს ასე, იბაკუნეს. მზე უფრო მაღლა მიიწევდა, ჯამულეთი კი არ ჩანდა. ფარეხში დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. ატყდა ერთი ალიაქოთი, — ცხვრის ბღავილმა მთელი ზღვისპირეთი შეძრა.

ირგვლივ ყველაფერი სმენად გადაქცეულიყო. ჩიტებს შეეწყვიტათ ჟღურტული, ტყეს — შრიალი, ნაკადულებს — წკანწკარი, ხოლო მდინარეს — დენა. ახლა მხოლოდ ცხვრების გულშემზარავი ბღავილი და ფეხების ბაკუნიღა ისმოდა.

სად იყო და სად არა, უცებ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ფარეხის წინ მგელი გაჩნდა.

ცხვრებს მგლის ამბავი გაგონილი ჰქონდათ, მაგრამ ნახ-
ვით კი არასოდეს ენახათ, ყმუილიც კი არ გაეგონათ მისი.
ახლა, ცხვრებმა დაინახეს თუ არა მგელი, დაფრთხნენ და
ხმა გაკმინდეს.

— რა მოგვივიდათ, ასე რა გაბღავლებთ? — ტკბილად
მიმართა მგელმა შეშინებულ ცხვრებს.

ცხვრები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

— თქვით, რას გაჩუმებულხართ? — გაუმეორა მგელმა.

ცხვრები შეტოკდნენ, აქა-იქ გაუბედავი ბღავილი გაისმა.

— ასე რამ დაგაფრთხოთ, ხმა ამოიღეთ!—კიდევ უფრო
დატკბა მგელი.

მცირე ყოყმანის შემდეგ ფარეხის კარს მოადგა ყოჩი,
ცალი თვალით ღრიჭოდან გამოხედა მგელს და გულაჩუყე-
ბით უამბო, როგორ გაჰყავდა ბერიკაცს ისინი ყოველდღე
საძოვარზე...

— ამ დილით კი, — აკანკალებული ხმით განაგრძობდა
ყოჩი, — როგორც ხედავ, უკვე შუადღემ მოატანა და ბერი-
კაცი ჯერ არსადა ჩანს...

— მერედა, ამის გამო შეაწრიალეთ მთელი ქვეყანა?

— ამაზე უარესი რაღა დაგვემართება? — მოკრძალებით
მიუგო ყოჩმა.

მგელი უმალვე მიტრიალდა და ფაცხაში შევარდა.

ცხვრებმა თავი მაღლა ასწიეს, ყურები დაცქვიტეს, სმე-
ნად გადაიქცნენ და ფაცხის კარს მიაჩერდნენ.

ფაცხიდან მგლის ღრიალი მოისმა. გაოცებული ცხვრე-
ბი ფარეხის კარს მიაწყდნენ, რომ დაენახათ, რა ხდებოდა
გარეთ, მგლის ღრიალის მიზეზი გაეგოთ.

მგელმა ბევრი არ დააყოვნა. ფაცხიდან ისევ უკან გამო-
ვარდა, თან ცრემლად იღვრებოდა და ვაი-ვიშით თავში
იშენდა თათებს.

— ვაი ჩემს მოსწრებას, ეს რა უბედურება მომივიდა, ეს რა მეგობარი დავკარგე! — მოთქვამდა მგელი.

ცხვრები უფრო აწრიალდნენ. მცირე ხნის შემდეგ ყოჩი მოკრძალებით შეეკითხა მგელს:

— გვიამბე მაინც, რა უბედურებაა ჩვენს თავზე?

— თქვენ რა გიშავთ, მე უნდა ვიკითხო, მე უბედურმა... რა მეგობარი დავკარგე! ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს მოსწრებას! — არ ცხრებოდა მგელი, — რა გიამბოთ? აბა, რა გითხრათ? გამოდით და თქვენ თვითონ ნახეთ! — უთხრა მგელმა ცხვრებს და ფარეხის კარი გამოაღო.

ცხვრები ერთბაშად მოაწყდნენ კარს. გარეთ გამოცვივდნენ. ფაცხაში საზარელი სურათი გადაეშალათ თვალწინ. ჩამქრალი კერიის პირას საწოლზე პირაღმა ეგდო უსულო ჯამულეთი. ორივე ხელი მკერდზე ედო და გაშეშებულ თითებში სალამური შერჩენოდა.

ამის შემყურე ცხვრებს სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხდათ. დიდხანს დასტიროდნენ თავიანთ მოამაგეს, დიდხანს ტიროდა მგელიც. ბოლოს ცხვრები გარეთ გამოლაგდნენ. ჯამულეთის ნაცვლად ახლა მათ შორის მგელი იდგა და მწარედ მოთქვამდა:

— ვაი, ვაი, ჩემო ერთგულო ძმაო! რატომ მე არ დამეხუჭა თვალები შენ მაგივრად!

როდესაც მგელმა ტირილით გული იჯერა, თვალებში თათი ამოისვა, ცრემლი მოიწმინდა, ირგვლივ თავმოყრილ ფარას გადახედა და გულისამჩუყებელი ხმით წარმოთქვა:

— ცხვრებო! თქვე საწყლებო... აბა, რა გითხრათ, რით განუგეშოთ, როცა მე თვითონ თქვენზე უფრო დამწუხრებული და გულმოკლული ვარ? დიდია ჩვენი მწუხარება. თქვენ დაკარგეთ პატრონი და მოამაგე, მე კი უერთგულესი

ძმადნაფიცი და სიყრმის მეგობარი. ის აღარ არის! ამიერიდან ის ვეღარ გაგიღებთ ფარეხის კარს, სალამურის ჭანგებით ვეღარ დაგატკბობთ, საძოვრებზე ვეღარ წაგიყვანთ. ამიერიდან ის აღარ გეყოლებათ პატრონად და ქომაგად, მაგრამ გულს მაინც ნუ გაიტეხთ! ჯამულეთს იმოდენა ამაგი აქვს ჩემზე გაწეული, რომ ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, მე თვითონ გიპატრონოთ. ამიერიდან მარად და ყველგან მე ვიქნები თქვენი მფარველი, მაგრამ... — მგელი მცირე ხანს გაჩუმდა, სმენად გადაქცეულ ცხვრებს თვალი მოავლო, — მაგრამ ერთი რამე არ მომწონს თქვენი საქციელისა და არ შემიძლია ახლავე არ გისაყვედუროთ. ნამეტანი ბევრი და უთავბოლო კუნტრუში იცით. ის უბედურიც ამან მოქანცა, დააჩიავა და გულიც გაუხეთქა. გრძნობთ დანაშაულს? დღეს, როგორც ხედავთ, ის უკვე აღარა გყავთ! მაშ, ამიერიდან ვინ უნდა იყოს თქვენი მფარველი? რა თქმა უნდა, ძმადნაფიცის ნაცვლად მე უნდა ვიკისრო ეს მძიმე მოვალეობა, რათა არ გადაშენდეთ, იარსებოთ და იმრავლოთ!

ცხვრები სულგანაბული უსმენდნენ და ამ უდიდესი მწუხარების ჟამს რაღაც იმედი ესახებოდათ გულში.

— ...მაგრამ ისე თავაშვებულად კი არ უნდა იაროთ, როგორც დღემდე დადიოდით, — უცებ ხმას აუწია მგელმა, — თქვენი ცხოვრება სულ სხვაგვარად უნდა წარიმართოს. ყველა ერთ წესს დაემორჩილებით. მტკიცედ და ურყევად უნდა გახსოვდეთ ერთი რამ: ეს მთა და ბარი, ეს ველ-მინდვრები, ეს დიდებული საძოვრები ყოველ სულდგმულს ერთნაირად ეკუთვნის. მაღალ ღმერთს ასე დაუწესებია. მე, მის უერთგულეს მოციქულს ამქვეყნად, მიკვირს, რომ საბრალო ჯამულეთს დღემდე ვერ ჩაუგონებია ეს თქვენთვის. აშკარად გეტყობათ: თვითეული თქვენგანი დღემდე მხო-

ლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, ძლიერი ჩაგრავდა სუსტს, პირიდან ლუკმას აცლიდა. ეს თვალის ერთი გადავლებითაც მისახვედრია.

ცხვრებმა ერთმანეთს გადახედეს. შეწრიალდნენ. ბრალდება ძალზე ეუცხოვათ. ჯამულეთი ყველას ერთნაირად ეპყრობოდა — ლაღად და თავისუფლად ზრდიდა, ახლა კი კეთილი ბერიკაცის ნაცვლად ახალი პატრონი გამოჩენილიყო და პირველ დღესვე ასეთ უცნაურ ბრალდებას უყენებდა მათ.

— დადექით მწკრივზე! — უცებ მკვახედ ბრძანა მგელმა.

ცხვრები უმალვე დაეწყვნენ და კვლავ სმენად გადაიქცნენ.

მგელმა მწკრივს თავიდან ბოლომდე აუარ-ჩაუარა, შუა ადგილას შეჩერდა, ისევ გახედა მწკრივს და წარმოთქვა:

— თქვენ თვითონ დააკვირდით ერთიმეორეს და დარწმუნდებით, რომ მე მართალი ვარ. რა გეტყობათ თქვენ იმისა, რომ უწყინარი ცხვრები ხართ და დღემდე მეგობრულად ცხოვრობდით? არაფერი! აბა, რასა ჰგავს ეს? ზოგიერთ თქვენგანს დუმა ისე გასუქებია, ვეღარ იმაგრებს და მიწაზე დაათრევს, ზოგი საშუალოდ გასუქებულა, ზოგი მჭლე და გამხდარია, ზოგს სული ძლივს უდგა პირში, სიარულის თავიც არა აქვს. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ღონივრები აბუჩად იგდებენ სუსტებს, წინ უსწრებენ, პირიდან აცლიან ღვთის ნებით ამოსულ ბალახს. სუსტები, ცხადია, მეტოქეობას ვერ უწევენ ამ ღორმუცელებს და ისევ სუსტებად რჩებიან! დღეიდან ეს არ უნდა მოხდეს. არ მოგცემთ ამის ნებას. გახსოვდეთ, საძოვრები ყველას ერთნაირად ეკუთვნის. თანაბრად უნდა ძოვოთ, ყველანი ერთ-

ნაირად უნდა გასუქდეთ. ვინც ამ წესს დაარღვევს, სასტიკად დავსჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარა ხმაგაკმენდილი იდგა და უსმენდა.

— მსუქნებო, ათი ნაბიჯი წინ! — შესძახა ბოლოს მგელმა.

ცხვრებმა ერთმანეთს გადახედეს. არც ერთი არ იძვროდა ადგილიდან.

— სწრაფად! — ხმას აუწია მგელმა.

ცხვრები შეშინდნენ და ფერდებით ერთმანეთს მიეკვრნენ. ფეხის მოცვლას ამჯერადაც ვერავინ ბედავდა. მაშინ გაბრაზებული მგელი ეიგერა მწკრივს, ჯერ ერთს გაჰკრა თათი, მერე მეორეს და ყველა მსუქანი ცხვარი ცალ მხარეს გაამწკრივა.

— აბა, შებრუნდ-შემობრუნდით! — კვლავ გასცა განკარგულება მგელმა.

ცხვრები შებრუნდ-შემობრუნდნენ. სხვა რაღა გზა იყო.

— კარგად დააკვირდით ამათ! — მიუბრუნდა ის გამხდრებს. — განა მართალი არა ვარ? საბრალო ჯამულეთს ხომ ყველა ერთად დაჰყავდით საძოვრებზე? რა თქმა უნდა, ერთად, მაგრამ, ეტყობა, ესენი თქვენზე უფრო ონავრები აღმოჩნდნენ; თავიანთი წილიც მოძოვეს, თქვენიც ზედ მიაყოლეს და ისე გასუქებულან, რომ ტყავში ვერ ეტევიან. თქვენ კი, თქვე საწყლებო, ფეხზე ძლივს დგახართ! აი, ესენი არიან თქვენი ლუკმის მიმთვისებელნი... იმისათვის, რათა ასეთი უმსგავსოება მომავალშიც არ განმეორდეს, ესენი უნდა დაისაჯონ! დასჯის საქმეს მე თვითონ მოვუვლი. ყოჩი ამათი თანამოაზრეა და ამათთანავე დარჩება, თქვენ კი კარგად დაიმახსოვრეთ, რაც წეღან გითხარით: ბალახი თანაბრად ძოვეთ! ვინც დღეიდან ამ წესს დაარღვევს, ვაი იმის ბრალი!

მგლის ნათქვამმა შიშის ზარი დასცა ცხვრებს. განკარგულების შესრულება საძნელო საქმედ ეჩვენათ, შექმნეს ერთი კიკინი და პეტელი.

— რაო? არ მოგწონთ? — დაიღრიალა მგელმა. — ახლავე უსიტყვოდ მიბრუნდით და საბალახოდ გადით! გეშინიათ? რისი? ფიქრი ნუ გაქვთ. სადაც გაგიჭირდეთ, ჩემი სახელი ახსენეთ და ხელსაც ვერავინ გახლებთ! ოღონდ თანაბრად ძოვეთ ბალახი, თანაბრად გასუქდით, რომ თქვენი შეხედვა თვალს ესიამოვნოს!

საწყალი ცხვრები უსიტყვოდ მიბრუნდნენ და ნელი ბაკუნით მიჰყვნენ ბალახით მოხავერდებულ ფერდობს.

— თქვენ კი ცალკე მოგელაპარაკებით! ხევისკენ შებრუნდით! — უბრძანა მგელმა მსუქნებს.

ისინი ზანტად დაიძრნენ.

მგელი ფეხდაფეხ მიჰყვა.

გადიოდა ჟამი. დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს.

ცხვრები, როგორც ნაბრძანები იყო, დილით ადრე გადიოდნენ საბალახოდ და საღამოს გვიან ბრუნდებოდნენ. რაც შეიძლებოდა, ფრთხილად იყვნენ — ცდილობდნენ, მგლის ბრძანება შეესრულებინათ, — ერთნაირად ძოვდნენ, მაგრამ მაინც ზოგი ძალიან გასუქდა, ზოგი ცოტა მოკეთდა, ზოგი კი ისევ გამხდარი დარჩა.

მგელი დროგამოშვებით მიდიოდა მათთან. ამ უთანასწორობის დანახვაზე ცხარობდა, მწკრივში აყენებდა ყველას, მსუქნებს ბრალს სდებდა და ემუქრებოდა, დასასჯელად იტოვებდა, გამხდრებს კი, ფხა გამოიჩინეთო, აფრთხილებდა და საძოვარზე უშვებდა.

ნათქვამია: ზღვა კოვზით დაილევაო. გაუთავებელი რა

იქნებოდა? ამ მისვლა-მოსვლაში მგელი გასუქდა. ჯამულეთის ნაპატივები ფარა კი ყოველდღიურად ილეოდა და ილეოდა. დიდი ხნის შემდეგ, როცა მგელმა დასასჯელად რამდენიმე მსუქანი ცხვარი კიდევ წაიყვანა, ჯამულეთის სახურავგადახდილი ფაცხის წინ ერთადერთი გამხდარი და უსუსური ბატკანიღა დარჩა. მგელი მიუბრუნდა მას და უთხრა:

— შენღა დარჩი, შე საცოდავო! დღემდე ყველა შენ გიბრიყვებდა, გჩაგრავდა, პირში ლუკმას გაცლიდა! აბა დაიხედე, რას ჰგავხარ! სული ძლივს გიდგას... ამიერიდან მეტოქე არავინ გეყოლება. იარე, საითაც გინდა, ძოვე ბალახი, რამდენიც გინდა, ოღონდ გასუქდი. მე კიდევ მოვალ შენთან!

დიდი ხანი გავიდა, თუ ცოტა ხანი, ერთ მშვენიერ დღეს მგელი მიადგა ფარეხს, გარს შემოუარა. არავინ ჩანდა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ბატკანს თვალი ვეღარსად მოჰკრა. მგელი საშინლად გაბრაზდა: დამემალა, თუ სადმე გადაიკარგაო. საბრალო ბატკანი მშობლიურ მიდამოს როგორ მოშორდებოდა? იქვე, ფერდობზე, იდგა, ბალახს კიკნიდა, ხანგამოშვებით თავს მაღლა სწევდა და საცოდავად ბღაოდა, თითქოს დედას ეძახისო. მგელს ცხვრის ბღავილი რომ შემოესმა, უმალვე მასთან გაჩნდა.

— ჰმ, მეგონა, მემალებოდი, — ბატკნის დანახვისთანავე გახალისდა მგელი, — კიდევ კარგი, რომ აქ ყოფილხარ! მაგრამ რას გავხარ, შე უბედურო, შენა! ამდენი საძოვარი გაქვს და მაინც არაფერი გეტყობა. რა საცოდავად იკიკნები, შე ოხერო, შე ტიალო, შენა!... როგორიც დაგტოვე, ისევ ისეთი მიკნავებული ხარ, სული ძლივს გიდგას პირში!

— მაშ როგორ უნდა ვიყო უპატრონოდ, უთვისტომოდ?! — უპასუხა ბატკანმა.

— კრინტი! ახლა პატრონი და თვისტომი არ მომთხოვა?! რაკი შენი საშველი არ ყოფილა, ჯობს, სულაც არ ყოფილ ამ-ქვეყნად! — დაიღრიალა მგელმა, ეძგერა ბატკანს, პირი და-ავლო და ხევისაკენ გააქანა.

მზიურში მგელს აღარა ესაქმებოდა რა. ამიტომ გადა-წყვიტა, როგორმე გაპარულიყო ამ ქვეყნიდან და ეს ბატკა-ნიც თან წაეთრია.

მგელი ამ იმედით მისდევდა მდინარის ნაპირებს, ჩირ-გვებს, ეკალ-ბარდებს, კლდე-ღრეებს. ბევრი იარა, თუ ცო-ტა იარა, ერთ უდაბურ ტყეში შევიდა. აქ სალი კლდიდან გრგვინვა-ხმაურით გადმოქუხდა ვეება მდინარე, მისი აქა-ფებული ტალღები ქვესკნელში მიექანებოდა.

თავის დასაღწევი გზების ძებნაში მგელი მზიურის იმ დიდ კარიბჭეს მისდგომოდა, ჯამულეთის ვაჟები რომ იცავ-დნენ.

ძმებმა უცებ ქვემოთ, ღრმა ორწოხებში, საცალფეხო ბილიკზე მომავალი მგელი დაინახეს. მგელს ბატკნისათვის პირი ჩაევლო და ქანცმილეული ძლივს მილასლასებდა. ეტ-ყობოდა, შორი გზა გამოევლო და არაქათი გამოლეოდა. მგელი ცოტა ხანს შედგა, ბატკანი ძირს დააგდო, თვითონ იქვე გაწვა და არემარე შეათვალიერა.

ძმებმა თოფები მოიმარჯვეს და სული განაბეს. მცირე შესვენების შემდეგ მგელი წამოდგა, რომ ბატკანი ისევ ზურგზე მოეგდო და სამშვიდობოს გასულიყო. მაგრამ სწო-რედ ამ დროს სამმა ძმამ ერთბაშად გამოსწიეს ჩახმახები და სამმა თოფმა ერთად იჭექა. მგელი უსულოდ დაეცა. თოფე-ბის ხმამ მთელი მხარე შეძრა. სროლის გამოძახილი კიდევ დიდხანს გუგუნებდა სადღაც, შორეულ ორწოხებში.

როცა ირგვლივ სიჩუმე დამკვიდრდა, საბრალო ბატკან-მა ჯერ წინა ფეხებზე წამოიწია, თავი შეიმაგრა, მერე უკანა ფეხებიც აითრია, გაიმართა და დაიბღავლა:

— ჰუმე-ე-ე-ე!..

1945

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგული და ჭინჭრაქა

მოვიდა გაზაფხული. დადგა მშვენიერი მაისი.

ფრინველთა ჟივილ-ხივილითა და ჟრიამულით აივსო ქვეყანა. მთელი ცისქვეშეთი ნეტარებას მისცემოდა და ლაღობდა, მარტო გუგულს ვერ ეპოვა მოსვენება, წრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. კვერცხისდების ჟამმა მოაწია და ძალიან უნდოდა თავის დაძვრენა, რათა მშვიდად ამოესუნთქა, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო.

გუგული ხომ საკუთარ ბუდეს არასოდეს იკეთებს. ბუდე მხოლოდ მაშინ მოაგონდება, როცა კვერცხი უნდა დადოს. დატრიალდება, აქეთ ეცემა, იქით ეცემა, მონახავს სხვის ბუდეს და იქ ჩაამატებს თავის კვერცხსაც, რომ მერე იმ სხვამ იზრუნოს და მისი ბარტყებიც გამოჩეკოს.

გუგულის წინაპრებიც მუდამ ასე იქცეოდნენ, თვითონ გუგულიც ასე იქცეოდა წლების განმავლობაში, ასე მოიქცა შარშან გაზაფხულზეც: სადღაც ბეღურების ბუდე მონახა და იქ ჩადო კვერცხები. მერე უკან აღარც მიუხედავს, არც შეწუხებულა იმაზე ფიქრით, თუ რა ბედი ეწია მის კვერცხებს, ბარტყები გამოიჩეკნენ თუ არა. გუგულს არც ახლა აწუხებდა ბარტყების ამბავი, დილიდანვე წრიალებდა, კვერცხის დადება უნდოდა. აქეთ იფრინა, იქით იფრინა, ერთი ტოტიდან მეორე ტოტზე გადაფრთხიალდა, თავის ბუდეს ეძებდა, მაგრამ რაც არა ჰქონდა, იმას როგორ იპოვიდა.

ბოლოს მოიქანცა, დაღონდა და ერთი განმარტოებული ხის ტოტზე ჩამოჯდა.

იჯდა მოწყენილი გუგული და დაღვრემილი გადასცქეროდა მიდამოს. უცებ შენიშნა, რომ იქვე, შორიახლოს, ეკალ-ბარდებში გახლართულ ხის ტოტზე ერთი ჭინჭრაქა ჩამოჯდა. ისიც მისებურად მოუსვენრობდა, სწრაფად დახტოდა ერთი ტოტიდან მეორეზე.

სად იყო და სად არა, მალე მეორე ჭინჭრაქაც მოფრინდა. ჩიტებმა ერთხანს იჟივჟივეს და ბევრი უტრიალეს ერთმანეთს, ბოლოს ერთი — ალბათ დედალი ჭინჭრაქა — ტოტს მოსწყდა და იქვე, ფოთლებით მოფარებულ ადგილას, ხმელი ბალახისაგან გაკეთებულ ბუდეში ჩაჯდა.

განაბული გუგული ჩუმად უთვალთვალებდა ჭინჭრაქებს. როგორც კი ჭინჭრაქები იქაურობას მოშორდნენ, გუგული ადგილს მოსწყდა და ჭინჭრაქების ბუდეში ჩაფრინდა.

ცოტა ხანს იყო ასე, გატრუნული, მერე კვერცხი ჩადო ჭინჭრაქას ბუდეში და უმალვე თავის გზას გაუდგა.

სამაგიეროდ, ჭინჭრაქები თავს დაჰკანკალებდნენ თავიანთ ბუდეს. რამდენი იწვალეს მის აშენებაზე: ხმელი ბალახ-ბულახი მოიტანეს, კედლები ამოიყვანეს და ბუდეში რბილი ფოთლები და ბუმბული ჩაფინეს. ბოლოს დედალმა ჭინჭრაქამ კვერცხებიც ჩადო. ახლა უკვე ბუდეც მზად ჰქონდათ და კვერცხებიც — ჩაწყობილი. ერთი რამღა დარჩენოდათ მხოლოდ, — ჭინჭრაქები რიგრიგობით უნდა დამსხდარიყვნენ კვერცხებზე, გაეთბოთ და ბარტყები გამოეჩეკათ.

პირველად დედალი ჭინჭრაქა ჩაჯდა ბუდეში, მამალი კი სადღაც გაფრინდა, ცოტა ხნის მერე მან ჭია მოუტანა სამხრად, მერე ისევ გაფრინდა და ახლა ვახშმის ულუფა მოუტანა. ასე გაგრძელდა ერთ ხანს. მერე მამალი ჭინჭრაქა ჩა-

ჯდა ბუდეში, დედალი კი საზრდოს მოსაპოვებლად გაფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა დრო. ხან დედალი ჭინჭრაქა ჯდებოდა კვერცხებზე, ხან — მამალი.

მოახლოვდა ბარტყების გამოჩეკის სანატრელი დღეც.

ერთ მშვენიერ დილას, როცა ქვეყანას მზის ელვარე შუქი დაჰქათქათებდა, როცა ირგვლივ ყოველივე ნეტარებას და სიხარულს მისცემოდა, ბარტყები გამოიჩეკნენ.

ბუდეში ყველაზე წინ გუგულის კვერცხიდან გამოჩეკილი შავი ქინქლით შემოსილი მოზრდილი ბარტყი მოექცა. ის თავიდანვე სხვებზე უფრო დიდი ჩანდა და დანარჩენ ბარტყებზე თამამადაც იქცეოდა. გუგულის ბარტყმა უმალვე მისწი-მოსწია სხვა ბარტყები, ბუდეში მოხერხებულად და ხალვათად ჩაჯდა.

როცა ჭინჭრაქები მოფრინდებოდნენ და ნისკარტით საჭმელს მოიტანდნენ თავიანთი ბარტყებისათვის, გუგულის ბარტყი ყველაზე უმალ შეიტყობდა მათ მოსვლას, წამოიწევდა, ფრთებს შეაქანებდა, კისერს წაიგრძელებდა, ნისკარტს შეაგებებდა მოფრენილ ჭინჭრაქებს, მოტანილ ჭიას ჩამოართმევდა და გადასანსლავდა.

ასე იქცეოდა გუგულის ბარტყი ყოველთვის. ჭინჭრაქებს აოცებდათ მისი ღორმუცლობა. ატყობდნენ, რომ თავისი უტიფარი საქციელით ის არ ჰგავდა სხვა ბარტყებს, რომ ეს ვიღაც სხვა იყო, დაუპატიჟებელი სტუმარი. მაგრამ ვინ იყო, ან საიდან გაჩნდა მათ ბუდეში, ჭინჭრაქები ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ. ჭინჭრაქებმა ბევრი იფიქრეს, ბევრი იდავეს, მაგრამ თავი და ბოლო ვერაფერს მოაბეს და ისევ ძველებურად ცხოვრება განაგრძეს. მიფრინავდნენ, ველ-მინდვრებიდან საკვები მოჰქონდათ, მაგრამ ყოველთ-

ვის ერთი და იგივე მეორდებოდა: უცხო ბარტყი სტაცებდათ თავიანთი ბარტყებისათვის მოტანილ ლუკმას.

გადიოდა დრო. ჭინჭრაქას ბარტყებს ზრდა არ ეტყობოდათ. სამაგიეროდ, მოშავო ბუმბლით ტანშექინქლული უცხო ბარტყი თვალდათვალ იზრდებოდა.

ბოლოს გუგულის ბარტყი დანარჩენი ბარტყებისათვის მოტანილი ლუკმის წართმევასაც აღარ დასჯერდა, ბუდეში ადგილის გაფართოებაც მოინდომა. მთვლემარე ჭინჭრაქის ბარტყს უბიძგა, მხარი ჰკრა და ბუდიდან ძირს გადმოუშვა. საბრალო ბარტყმა ტყაპანი მოადინა მიწაზე. უცებ, სად იყო და სად არა, იქვე გაჩნდა გარეული ხვადი კატა, პირი დაავლო ბარტყს და სადღაც გააქანა. რაკი ადგილი გაითავისუფლა, გუგულის ბარტყი უფრო ფართოდ მოეწყო.

ასე გადიოდა დრო. ჭინჭრაქებს მოჰქონდათ საჭმელი, ბუდეში კი ისევ ძველი ამბავი მეორდებოდა. ახლა გუგულის ბარტყს ის ადგილიც ეცოტავა, კიდევ მოუნდა გაფართოება. გაჰკრა მხარი მეორე ბარტყს, ნელ-ნელა გასწია გვერდზე, ბუდის ნაპირას მიაგდო, მერე იქიდანაც უბიძგა და ისიც ძირს გადმოაგდო. დაეცა თუ არა საბრალო ბარტყი მიწაზე, იქვე გაჩნდა გარეული ხვადი კატა, დაავლო პირი და ეს მეორე ბარტყიც სადღაც გააქანა. ბუდეში ჭინჭრაქას ერთი ბარტყიღა დარჩა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა. გუგული გაიზარდა, უფრო გამაგრდა, მთელი ტანი ბუმბულით შეემოსა. გაიზარდა ჭინჭრაქას ბარტყიც. ახლა ისიც წამოიწევდა ხოლმე, როცა დედა, ან მამა მოფრინდებოდა, ცდილობდა მიახლოებოდა და მოტანილი საჭმელი გამოერთმია, მაგრამ გუგულს როგორ გაუმკლავდებოდა? გუგული მაშინვე ფეხზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოდგებოდა, მთელი ტანით აიმართებოდა და ჭინჭრაქას ბარტყს გვერდზე მიაგდებდა ხოლმე.

ერთხელ ჭინჭრაქამ იმარჯვა, მოასწრო და მოტანილი საჭმელი თვითონ გადასანსლა. მაშინ გუგულმა ვეღარ მოითმინა, გაბრაზებულმა ღონივრად ჰკრა მხარი ჭინჭრაქას, ბუდის კიდეზე მიაგდო, მერე უბიძგა და ისიც ქვემოთ გადაუშვა.

ახლა გუგული მარტო იყო ამხელა ბუდეში და არხეინად გრძნობდა თავს. ელოდებოდა, ჭინჭრაქები საჭმელს მოიტანენ და რაკი მეტოქე არავინა მყავს, მარტო მე დამრჩებაო, მაგრამ ასე როდი მოხდა. დიდხანს იჯდა გუგულის ბარტყი ბუდეში. ბოლოს დედა ჭინჭრაქა მოფრინდა. არ გასულა დიდი ხანი და მას მამა ჭინჭრაქაც მოჰყვა.

ერთი ერთ ტოტზე ჩამოჯდა, მეორე — მეორეზე. ჭინჭრაქები გაკვირვებულები იყვნენ. ვერ გაეგოთ, სად გაქრნენ მათი შვილები. ბუდეში მარტო დარჩენილი გუგული იჯდა და მოშივებული კისერს იწვდიდა.

უბედურმა ჭინჭრაქებმა ერთ ხანს შორიდან უთვალთვალეს გუგულს. ბოლოს ერთმა მათგანმა შეშფოთებით რაღაცა დაიჭიკჭიკა, მოწყდა ტოტს და მეორე ჭინჭრაქას გვერდით ჩამოუჯდა, ალბათ ეს მამა ჭინჭრაქა იყო. ჩიტებმა იჟივჟივეს, იჟივჟივეს, მერე მამა ჭინჭრაქა ბუდისაკენ გაექანა, მას დედაც მიჰყვა. როგორც ეტყობოდა, ჭინჭრაქები მიხვდნენ, რომ ღორმუცელა ბარტყი მათი ოჯახის მტერი იყო, მათი შვილების დამღუპველი.

— რა გინდათ, რას მერჩით? — აწრიპინდა გუგული. — მე ჩემს მშობლიურ ბუდეში ვარ. თავს რად მესხმით?

ჭინჭრაქები თვალებში შეაფრინდნენ გუგულის ბარტყს. გუგულმა იკადრა და უკან დაიხია, იქნებ გაქცევა მოვასწ-

როო. სხვა რა გზა ჰქონდა! ჭინჭრაქები მეტისმეტად ეძალებოდნენ გუგულს, გუგული კი გაქცევას ცდილობდა, რომ ხიფათისაგან თავი დაეხსნა.

ჭინჭრაქები ხელახლა დაიძრნენ და დაეტაკნენ გუგულს. გაშმაგებულმა ფრინველებმა ახლა მეორე მხრიდან შემოუარეს, არსად გაგვექცესო. ამ ალიაქოთში გუგულს უცებ ორივე ფეხი დაუსხლტა და ძირს გადმოვარდა. იმავე წამს ზედ დააცხრა გარეული კატა და ისიც, როგორც ჭინჭრაქის საცოდავი ბარტყები, ორწოხისაკენ გააქანა.

ასე მოუვა ყველას, ვინც სხვის დაღუპვას შეეცდება.

1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე და სიცრუე

უკრაინულიდან

იყო ორი ძმა: ერთი მდიდარი, მეორე კი ღარიბი. ერთხელ ისინი ერთად შეიყარნენ და საუბარი გააბეს.

— რაც გინდა თქვი და, ამქვეყნად მაინც სიმართლით ცხოვრება ჯობია, — უთხრა ღარიბმა ძმამ მდიდარს.

მდიდარმა კი მიუგო:

— ამქვეყნად სადღა იპოვი სიმართლეს? ახლა ყველგან მხოლოდ სიცრუეა გამეფებული. ამიტომ უმჯობესია, ისევ სიცრუით იცხოვრო!

ღარიბმა მაინც თავისი დაიჩემა:

— არა, ჩემო ძმაო, მაინც სიმართლით ცხოვრება ჯობსო.

მაშინ მდიდარმა მიუგო:

— მაშ კარგი. მოდი, ქონებაზე დავნაძლევდეთ, მერე წავიდეთ და ხალხსა ვკითხოთ. ვისაც შევხვდებით, ყველას შევეკითხოთ — ერთს, მეორეს, მესამეს... თუ ყველა ისე იტყვის, როგორც შენ ამბობ, მთელი ჩემი ქონება შენი იყოს; ხოლო თუ ისე იტყვიან, როგორც მე ვთქვი, მთელ შენს ქონებას მე წავიღებ.

ღარიბმა მიუგო:

— კარგი, ყაბულსა ვარ!

წავიდნენ. მიჰყვებიან გზას. მიდიან და მიდიან. უცებ წინ

შემოხვდათ საშოვრიდან შინ დაბრუნებული კაცი. ძმები გადაუდგნენ ამ კაცს და მიესალმნენ:

— გამარჯობა, კეთილო კაცო!

— გაგიმარჯოთ!

— ერთი რამე უნდა შეგეკითხოთ...

— თქვით!

— როგორ ჯობია ამქვეყნად ცხოვრება: სიმართლით, თუ სიცრუით?

— ეჰ, კეთილო ადამიანებო, — მიუგო იმ კაცმა, — სად იპოვით ახლა სიმართლეს? აი, რამდენი ვიშრომე, რამდენი ვიმუშავე და, ნახეთ, რა მივიღე საზღაურად... სულ მცირედი რამ... იმ გროშებიდანაც ერთი წილი ბატონმა წამგლიჯა. აბა, სადღა შეიძლება იცხოვრო სიმართლით? უმჯობესია ისევ სიცრუით იცხოვრო, ვიდრე სიმართლით.

— აი, ჩემო ძმაო, ხომ ხედავ! — უთხრა მდიდარმა თავის ღარიბ ძმას. — ეს არის ჩემი პირველი სიმართლე!

ღარიბი დაღონდა. ძმები ისევ გაუდგნენ გზას. წინ ახლა ვაჭარი შემოხვდათ:

— გამარჯობა, პატიოსანო ვაჭარო! — მიესალმნენ ისინი.

— გაგიმარჯოთ!

— იცი, რა უნდა შეგეკითხოთ?

— ბრძანეთ!

— როგორ ჯობია ამქვეყნად ცხოვრება: სიმართლით, თუ სიცრუით?

— ეჰ, ჩემო კეთილო ადამიანებო! სიმართლით როგორ იცხოვრებ? როგორც კი ვაჭრობას შეუდგები, ასჯერ უნდა იცრუო, ასჯერ უნდა დაიფიცო ტყუილად, რომ დაარწმუნო მუშტარი, სხვაგვარად ვერაფერს გაყიდი! — უპასუხა ვაჭარმა და გზას გაუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ჩემი მეორე სიმართლე! — უთხრა მდიდარმა ძმამ ღარიბს. ღარიბი ძმა უფრო დაღონდა.

განაგრძეს გზა. მიდიან და მიდიან. უცებ წინ პანი შემოხვდათ.

— გამარჯობათ, ბატონო! — მიესალმნენ ძმები.

— გაგიმარჯოთ!

— იცით, რა უნდა შეგეკითხოთ? როგორ ჯობია ამქვეყნად ცხოვრება: სიმართლით, თუ სიცრუით?

— ჩემო კეთილო ადამიანებო, სადღაა ახლა ამქვეყნად სიმართლე? სიმართლით ვერ იცხოვრებ! მე რომ სიმართლით მეცხოვრა... — და სიტყვა აღარ დაამთავრა, ისე გაუდგა გზას.

— რაკი ასეა, ჩემო ძმაო, — უთხრა მდიდარმა ძმამ ღარიბს, — წავიდეთ შინ და მთელი შენი ქონება ჩამაბარე!

მიდის ღარიბი ძმა შინ და გული მწუხარებით ევსება.

მდიდარმა ძმამ წაიღო მისი ღარიბული ავლა-დიდება, მხოლოდ ქოხიღა დაუტოვა.

— ჯერ იცხოვრე მაგ ქოხში, — უთხრა მან, — ახლა არ მჭირდება. ცოტა ხნის შემდეგ კი სხვა საცხოვრებელი გამონახე.

ზის ღარიბის ოჯახი ქოხში. პურის ნატეხიც არ აბადიათ, ვერც ვერსად უშოვიათ. ის წელიწადიც საოცრად მოუსავლიანი დადგა. ტირიან ბავშვები... ღარიბმა ითმინა, ითმინა... ბოლოს ვეღარ მოითმინა, აიღო საწყაო და მდიდარ ძმასთან წავიდა.

— ძმაო, ამ საწყაოთი ფქვილი, ან ხორბალი მომეცი. საჭმელი არაფერი გვაქვს. ბავშვები შიმშილით მეხოცებიან!

მდიდარმა კი უპასუხა:

— მოდი, ცალ თვალს ამოგთხრი და მერე აგივსებ ფქვილით მაგ საწყაოსო!

იფიქრა ღარიბმა, იფიქრა და დაეთანხმა, სხვა რა გზა ჰქონდა!

— ჰა, მოდი, ამომთხარე, ოღონდ რამე მომეცი, თუ ღმერთი გწამს!

მდიდარმა ძმამ ღარიბს თვალი ამოთხარა და ერთი საწყაო დაობებული ფქვილი მისცა. ღარიბმა წაიღო ფქვილი, შინ რომ მივიდა და ცოლმა შეხედა, ელდანაცემმა ჰკითხა:

— ეს რა მოგსვლია, კაცო, თვალი რა უყავი?

— ეჰ, — მიუგო ქმარმა, — ძმამ წამართვა!

თან ყველაფერი უამბო, რაც მოხდა... ღარიბის ოჯახში ბევრი იტირეს და ივიშვიშეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ.

გავიდა ცოტა ხანი და, ისევ გამოელიათ პური. ღარიბმა ამჯერადაც აიღო საწყაო და ისევ ძმას მიადგა.

— საყვარელო ძმაო, გაგვითავდა ის ფქვილი, შენ რომ მომეცი, კიდევ უნდა მომცე ერთი საწყაო!

— მოდი, მეორე თვალსაც ამოგთხრი და მერე აგივსებ საწყაოსო, — უპასუხა მდიდარმა ძმამ.

— ძმაო, მერედა როგორღა ვიცხოვრო უთვალებოდ? ცალი ხომ უკვე წამართვი! გთხოვ, მოიღო მოწყალება და ისე მომცე!

— არა, — უთხრა მდიდარმა, — მუქთად ვერ მოგცემ. ამომათხრევინე მეორე თვალიც და მერე წაიღე ფქვილი.

ღარიბი ამაზედაც დაეთანხმა, რაღას იზამდა!

— ამომთხარე, ღმერთმა გიზღოს სამაგიერო! — უთხრა ღარიბმა.

მდიდარმა ძმამ ღარიბს მეორე თვალიც ამოთხარა და საწყაო ფქვილით აუვსო. ბრმა ძლივს მივიდა შინ. ფქვილიც მიიტანა. დაინახა თუ არა ცოლმა თვალებდათხრილი ქმარი, სასოწარკვეთილმა შეჰყვირა:

— შე უბედურო, შენა, ასე უთვალებოდ როგორღა იცხოვრებ ქვეყნად? იქნებ როგორმე ისე გეშოვა ლუკმა-პური. ახლა რაღა უნდა ვქნათ?

— ნუ ტირი. მარტო მე ხომ არა ვარ ამ დღეში! ქვეყანაზე რამდენი უსინათლოა და მაინც როგორღაც ცხოვრობენ, მეც ისე ვიცხოვრებ, — ანუგეშა ქმარმა.

მალე ეს ფქვილიც გამოელიათ. განა ბევრი იყო, — სულ ერთი საწყაო, მჭამელი კი — მთელი ოჯახი.

— აბა, დედაკაცო, — უთხრა ღარიბმა ცოლს, — მე უკვე აღარ შემიძლია ჩემს ძმასთან წასვლა. ახლა სოფლიდან გამიყვანე, გზის პირას, მაღალი ალვის ხის ძირში დამსვი და იქ დამტოვე, საღამოს კი მოდი და შინ წამომიყვანე. გამვლელ-გამომვლელს შევებრალები და ალბათ ყველა მომცემს ლუკმის ფულს.

ცოლმა წაიყვანა ბრმა, დასვა ხის ძირას, თვითონ კი შინ დაბრუნდა.

ზის კაცი ალვის ხის ძირას. ვიღაცეებმა მცირედი რამ მართლა უწყალობეს. დაღამდა. ცოლმა დაიგვიანა. დაიქანცა კაცი ლოდინით. ბოლოს ადგა და შინისაკენ მარტო წავიდა, მაგრამ გზა ვერ გაიგნო. მიდის, მაგრამ თვითონაც არ იცის, საით. უცებ ტყის შრიალი შემოესმა. ტყეში შემოვსულვარ, უთუოდ ამ ტყეში მომიხდება ღამის გათევაო, — გაიფიქრა და ძალიან შეეშინდა. მერე ბრმა როგორღაც აცოცდა ხეზე და ერთ ტოტზე ჩამოჯდა.

შუაღამემ რომ მოატანა, მუხის ძირას ავმა სულმა მოირბინა და თან თავისი წინამძღოლი მოიყვანა. მოვიდნენ სხვა ავი სულებიც. წინამძღოლმა გამოკითხვა დაიწყო, ვინ რა გააკეთეთო.

— მე ასე მოვიქეცი, — თქვა ერთმა, — ორი საწყაო

ფქვილის საფასურად ძმას ძმისთვის ორივე თვალი დავათხრევინე!

— კარგად მოქცეულხარ, — შეაქო წინამძღოლმა, — მაგრამ არც ისე!

— მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი?

— თუ ის ბრმა თვალებს ამოიბანს ამ ხის ძირას შეგროვილი ნამით, თვალები აეხილება. კარგი, შენ რაღა გააკეთე? — შეეკითხა წინამძღოლი მეორე ავ სულს.

— მე ერთ სოფელში წყალი დავაშრე, წვეთიც კი არ დავტოვე. უწყლობისაგან იმ სოფელში ბევრი ხალხი იღუპება.

— კარგად მოქცეულხარ, — ამასაც მოუწონა საქციელი წინამძღოლმა, — მაგრამ არც ისე!

— მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი?

— თუ ვინმემ გადასწია მეზობელ ქალაქში დადებული ლოდი, იმდენი წყალი წამოვა, მთელ მხარეს ეყოფა. შენ რაღა გააკეთე? — მიუბრუნდა ხელმძღვანელი მესამეს.

— მეფეს ერთადერთი ქალიშვილი დავუბრმავე, მაგრამ ისე, რომ მკურნალები ვერაფერს შველიან, ვერ მოურჩენიათ.

— კარგად მოქცეულხარ, — კვლავ მოიწონა ქვეშევრდომის საქციელი წინამძღოლმა, — მაგრამ არც ისე!

— მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი?

— თუ ბრმას თვალებს მობანენ ამ ხის ძირას მოგროვილი ნამით, თვალები აეხილება, — უთხრა წინამძღოლმა.

კაცი ხეზე ზის და ყველაფერს ისმენს, რასაც ავი სულები ლაპარაკობენ. როცა ისინი წავიდ-წამოვიდნენ, უსინათლო ჩამოვიდა ხიდან, ამოიბანა თუ არა თვალები ნამით, იმწამსვე აეხილა. ახლა წავალ და სხვებსაც ვასწავლი, რაც აქ

გავიგონეო, — გაიფიქრა მან, ნამი მათარაში მოაგროვა და თან წაიღო.

მიუახლოვდა უწყლო სოფელს. ხედავს, გზაზე ბებერი დედაკაცი მოდის და სათლები მოაქვს მხრეულით. კაცი მოწიწებით მიესალმა დედაბერს და სთხოვა:

— ბებია, წყალს ვერ დამალევინებ?

— ეჰ, შვილო, ეს წყალი ოცდაათი ვერსიდან მომაქვს. ვიდრე შინ მივალ, ნახევარი გზაზე დამეღვრება, ჩემი ოჯახი კი მრავალრიცხოვანია — უწყლობით დავიღუპებით.

— დამალევინე და როგორც კი შემოვალ თქვენს სოფელში, ყველას სამყოფ წყალს მე მივცემ, — შეეჰპირდა კაცი.

ქალმა წყალი დაალევინა და გახარებული წინ წავიდა, რათა სოფლისათვის ეცნობებინა ეს ამბავი. ხალხს სჯეროდა კიდეც და არცა სჯეროდა დედაბრის ნათქვამი. მაინც გავიდნენ ამ კაცის შესახვედრად, თაყვანისცემით შეეგებნენ და სთხოვეს:

— კეთილო ადამიანო, გვიხსენი ამ საშინელი გასაჭირისაგან!

— კარგი, კარგი,—მიუგო ხალხს კაცმა, — მხოლოდ დამეხმარეთ და ჯერ თქვენს მეზობელ ქალაქამდე მიმიყვანეთ.

კაცი მიიყვანეს ქალაქამდე, მან დაიწყო იმ ქვის ძებნა. ეძება, ეძება და მართლაც იპოვა. მერე ყველანი ერთბაშად მიესივნენ იმ ლოდს და გადააგორეს; გადააგორეს თუ არა, მაშინვე იჩქეფა წყალმა. წყალი თქრიალით წამოვიდა ფსკერიდან. აივსო ყველა მდინარის კალაპოტი, წყალსაცავები, ხევები, ღელეები. აღტაცებული ხალხი მადლობას უხდიდა თავის მხსნელს, აავსეს საჩუქრებით — ფულით და განძეულით. კაცი ცხენზე შეჯდა და ახლა იმ სამეფოს მიაშურა, სადაც მეფის ერთადერთი ბრმა ქალიშვილი ცხოვრობდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ქვეყანაში, მიუახლოვდა სასახლეს და მეფის მსახურებს უთხრა:

— გავიგე, თქვენს მეფეს ქალიშვილი ჰყოლია ავადმართალია? იქნებ მე მოვარჩინო!

— ეჰ, შენ რას გახდები! მკურნალი არ დარჩენილა, რომ თავისი ხელობა არ ეცადოს და დღემდე ვერავინ ვერაფერი შეძლო. შენ რა შეგიძლია!

— მაინც მოახსენეთ მეფეს ჩემი მოსვლა.

კარისკაცები ფეხს ითრევდნენ. მოსული მაინც არ მოეშვა, — მოახსენეთ და მოახსენეთო. ბოლოს იძულებული გახდნენ, ყველაფერი მოეხსენებინათ მეფისთვის. მეფემ ეს ამბავი რომ გაიგო, ბრძანა, დაუყოვნებლივ მოიწვიეთ სასახლეში ახალი მკურნალიო.

— შენ შეგიძლია მოარჩინო ჩემი ქალიშვილი? — ჰკითხა სტუმარს მეფემ.

— შემიძლია, — მიუგო კაცმა.

— თუ მოარჩენ, რასაცა მთხოვ მოგცემ! — შეჰპირდა მეფე.

მიიყვანეს კაცი მეფის ასულთან; მან ბრმას თვალები მობანა და სასწაულიც მოხდა: ბრმა ქალიშვილს მხედველობა დაუბრუნდა. უსაზღვროდ გახარებულმა მეფემ იმდენი რამ უბოძა კაცს, რომ ურმებით ძლივს გაზიდეს.

კაცის ცოლი ამ დროს უდიდეს მწუხარებას მისცემოდა. ნაღვლობდა, არ იცოდა, სად წავიდა და რა დაემართა მის ქმარს. ვაი თუ ცოცხალიც აღარ არისო, — ფიქრობდა საცოდავი.

უცებ ვიღაცამ ფანჯარაზე დააკაკუნა.

— დედაკაცო, გამიღე კარი!

ქალმა იცნო ხმა, გარეთ გამოვარდა, სტაცა ხელი ქმარს და ქოხში შეიყვანა. ეგონა ისევ ბრმა არისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აანთე შუქი! — უთხრა ქალს ქმარმა.

ქალს გაუკვირდა, შუქი რად უნდაო. მაინც აანთო, შეხედა ქმარს თვალებში და სიხარულისაგან კინაღამ ჩაიკეცა.

— მადლობა ღმერთს! ჩქარა მიამბე შენი თავგადასავალი, — დაუწყო ხვევნა ცოლმა.

— დაიცა, ჯერ ეს ნივთები შემომატანინე ქოხში.

დაიწყეს ნივთების შეტანა.

ამ ძვირფას ქონებასთან ახლა რა სახსენებელი იყო მისი მდიდარი ძმის ქონება.

ასე გამდიდრდნენ ღარიბები და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება. მდიდარმა ძმამ ღარიბი ძმის ამბავი შეიტყო და მივარდა მასთან.

— ძმაო, როგორ დაგიბრუნდა სინათლე თვალში, როგორ გამდიდრდი ასე? — ეკითხებოდა ის.

ძმამ არ დაუმალა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ასე და ასე მოხდაო.

მდიდარ ძმას უფრო მეტად გამდიდრება მოუნდა. დაღამდა თუ არა, უმალ ტყეში გაჩნდა, აცოცდა იმავე ხეზე და იქ დაიწყო ლოდინი.

შუაღამემ რომ მოატანა, ხედავს, წინ ის ავი სული მოდის, უკან წინამძღოლი მოსდევს და საუბრობენ:

— რა ამბავია! თითქოს არავინ არაფერი იცოდა, არც არავის არაფერი გაუგონია და ბრმა ძმა კი თვალხილული დადის, ლოდის ფსკერიდან წყალი თქრიალით გადმოდის, იქნებ მეფის ქალიშვილსაც აეხილა თვალები. ვაითუ ახლაც ვინმე გვიგდებს ყურს? მოდი, მოვძებნოთ! დაფაცურდნენ ავი სულები, დაიწყეს ძებნა. ხეზეც ავიდნენ; მდიდარი ხომ იქ იჯდა, ეცნენ მას, სტაცეს ხელი და ძირს ჩამოაგდეს. საწყალს მიწაზე სული არ დაჰყოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგული

ჰანს ქრისტიან ანდერსენიდან

შენ უთუოდ გეცოდინება, რომ ჩინეთში ყველა მცხოვრები ჩინელია და თვით იმპერატორიც კი ჩინელი...

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. სწორედ ამიტომ მინდა გიამბოთ, ვიდრე სულ არ მისცემია დავიწყებას.

ალბათ მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვება ჩინეთის იმპერატორის სასახლეზე უკეთესი. იგი ისეთი ძვირფასი და სათუთი ფაიფურისაგან არის აშენებული, რომ ხელის ოდნავ მიკარებასაც ვერ შეჰბედავ. თვალწარმტაც ყვავილებზე ვერცხლის ზანზალაკებია ჩამოკიდებული. ნიავის შემოქროლვაზე ყვავილები შეირხევიან და ზანზალაკები რაწკუნს იწყებენ. ეს გაკეთებული იყო იმისთვის, რომ მათთვის გულგრილად არავის ჩაევლო. აი, რა ჭკვიანურად იყო მოგონილი ეს.

ბაღი შორს, ძალიან შორს იყო გადაჭიმული, ისე შორს, რომ თვით მებაღემაც არ იცოდა, სად ჰქონდა კიდე. ბაღის ბოლოზე უდაბური ტყე იწყებოდა. ეს ტყე ზედ ლურჯი ზღვის სანაპირომდე გადიოდა. ზღვაზე გადმოხრილ ტოტებქვეშ დიდი ხომალდები დაცურავდნენ. აქ, ზედ ზღვის სანაპიროსთან, ტყეში, ცხოვრობდა ბულბული. იგი წარმტაცად გალობდა. თვით ღარიბი მეთევზეც ისე გატაცებით უსმენდა ბულბულს, რომ ხშირად თავისი ბადე ავიწყდებოდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერატორის სასახლეში დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდნენ დიდებული სტუმრები. ყველა აღფრთოვანებული იყო იმპერატორის სასახლის მშვენებითა და ბაღის სილამაზით, მაგრამ ყურს მოჰკრავდნენ თუ არა ბულბულის სტვენას, ამბობდნენ: აი, ეს კი ყველაფერს სჯობიაო!

შინ დაბრუნების შემდეგ მოგზაურები თავისიანებს უყვებოდნენ ყოველივე ნანახს. სწავლულები ჩინეთის სატახტო ქალაქის სასახლისა და იმპერატორის ბაღის აღწერილობებს ადგენდნენ და ბულბულსაც არასოდეს ივიწყებდნენ. ჩინეთის ტყეში, ზედ ლურჯი ზღვის სანაპიროსთან, მცხოვრებ ფრთოსან მომღერალზე შესანიშნავ ლექსებს თხზავდნენ მგოსნები.

ეს წიგნები მთელს ქვეყანაზე ვრცელდებოდა და აი, ერთი სქელტანიანი წიგნი ჩინეთის იმპერატორსაც ჩაუვარდა ხელში. იმპერატორი თავის ოქროს ტახტზე იჯდა, კითხულობდა ამ წიგნს და თავს აქნევდა. ძალიან სიამოვნებდა იმის წაკითხვა, რომ ასეთი კარგი სატახტო ქალაქი, ასეთი მშვენიერი სასახლეები და ბაღები ჰქონდა. მაგრამ აი, წიგნის უკანასკნელ გვერდზე იმპერატორმა წაიკითხა: „ჩინეთში ბევრი რამ არის მშვენიერი, მაგრამ ყველაფერს სჯობია ერთი პატარა ჩიტი, სახელად ბულბული, რომელიც ცხოვრობს ტყეში, იმპერატორის ბაღის მახლობლად. მისი სიმღერის მოსასმენად, ყველას ვურჩევდი, ჩინეთში გამგზავრებულიყვნენ“.

— რაო?! — წამოიძახა იმპერატორმა, ტახტიდან წამოდგა და წიგნი დახურა. — როგორ! ჩემს სახელმწიფოში, ისიც ჩემი სასახლის გვერდით, ასეთი საოცარი ფრინველი ცხოვრობს, მე კი ერთხელაც არ მომისმენია მისი სიმღერა და სხვისი წიგნებიდან უნდა შევიტყო ეს ამბავი?!

ხელმწიფემ ბრძანა, პირველი მინისტრი ახლავე აქ მომ-

გვარეთო. მინისტრს ისე დარბაისლურად ეჭირა თავი, თუ ვინმე წოდებით უმცროსი გაუბედავდა გამოლაპარაკებას, ვთქვათ, რასმე შეეკითხებოდა, „პფი“ — მხოლოდ ამას უპასუხებდა, რაც სრულიად არაფერს არ ნიშნავდა!

— სწავლულის წიგნში წავიკითხე, რომ ჩვენ ერთი შესანიშნავი ჩიტი გვყოლია, სახელად „ბულბული“, — უთხრა იმპერატორმა მინისტრს. — ბულბულს ჩემი სახელმწიფოს ყველაზე შესანიშნავ მოვლენად თვლიან. რატომ ერთხელაც არ მომახსენეთ ამ ჩიტის ამბავი?

— თქვენო უდიდებულესობავ! — პირველმა მინისტრმა იმპერატორის წინ თავი ჩაკიდა. — პირველად მესმის ბულბულის სახელი. ის არასოდეს არ ყოფილა სასახლეში.

— მთელმა ქვეყანამ იცის ჩემი ბულბულის ამბავი, თვით მე კი არაფერი ვიცი! — თქვა იმპერატორმა. — მსურს, ის ჩიტი ამ საღამოსვე აქ იყოს და მიგალობოს.

— მოვძებნი, თქვენო უდიდებულესობავ! — მიუგო პირველმა მინისტრმა.

თქმა ადვილი იყო, მაგრამ სად უნდა ეპოვა?

და აი, პირველმა მინისტრმა დარბაზებსა და ტალანებში დაიწყო სირბილი. კარისკაცთაგან არავინ არაფერი იცოდა. პირველი მინისტრი იმპერატორთან დაბრუნდა და მოახსენა, ჩინეთში ბულბული არ არის და არც ყოფილაო.

— თქვენო უდიდებულესობავ, სულ ტყუილუბრალოდ ინებებთ ერწმუნოთ იმას, რასაც წიგნებში წერენ ხოლმე! ეგ ყველაფერი მოგონილია, შავი თილისმა გახლავთ და მეტი არაფერი!

— სისულელეს ნუ ამბობთ! — უთხრა იმპერატორმა. — მე მსურს ბულბულს მოვუსმინო. დღეს საღამოსვე სასახლეში მოიყვანეთ! თუ ის დანიშნულ დროზე აქ არ იქნება,

ბრძანებას გავცემ, შენ და დანარჩენ მინისტრებს ქუსლებზე წკეპლა დაგარტყან.

— ტრინგ-პე! — თქვა პირველმა მინისტრმა და ისევ აღმა-დაღმა დაიწყო სირბილი კიბეებზე, ტალანებსა და დარბაზებში.

მინისტრთან ერთად დარბოდნენ წარჩინებულები და კარისკაცები. არავის არ უნდოდა, ჯოხი მოხვედროდა. კიბეების პატარა მოედნებზე ისინი ერთმანეთს აწყდებოდნენ და წარამარა კითხულობდნენ:

— რა არის ბულ-ბუ-ლი? სად უნდა ვიპოვოთ ბულ-ბული?

ასე შემოირბინეს მთელი სასახლე. ბოლოს სამზარეულოში ამოყვეს თავი. აქ, სამზარეულოში, პატარა გოგონა იჯდა და თევზს ასუფთავებდა. პირველი მინისტრი შეეკითხა გოგონას:

— შენ ხომ არ იცი სად ცხოვრობს ბულბული?

— ბულბული? — მიუგო გოგონამ. — ბულბული როგორ არ ვიცი! ყოველდღე დავდივარ დედასთან და იმპერატორის სუფრის ნარჩენები მიმაქვს. ჩვენ ზედ ზღვის პირას ვცხოვრობთ. იქ, შუაგულ ტყეში, ერთი დიდი ფუღუროიანი და ხშირტოტებიანი ბებერი ხე დგას. როცა ახლოს ჩავუვლი ამ ხეს, ყოველთვის მესმის ბულბულის გალობა; ისე ნაზად უსტვენს, ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის ხოლმე, სულში კი ისეთ სიხარულს ვგრძნობ, თითქოს დედა მკოცნიდეს.

— გოგონავ, — უთხრა ბავშვს პირველმა მინისტრმა, — მე შენ შორიდან გაყურებინებ, როგორ სადილობს თვითონ იმპერატორი, მხოლოდ იმ პირობით, თუ ბულბულთან მიგვიყვან. ბულბული დღეს საღამოს სასახლეშია მოწვეული.

ამის შემდეგ ყველამ ტყეს მიაშურა. წინ გოგონა მიდიოდა, უკან კი წარჩინებულები და კარისკაცები მიჰყვებოდნენ.

იარეს, იარეს... უცებ ძროხის ბღავილი შემოესმათ.

— ო! — შესძახეს კარისკაცებმა. — ალბათ ესაა ბულბული. რა ძლიერი ხმა აქვს!

— ეს ძროხა ბღავის, — მიუგო გოგონამ, — ბულბულის სამყოფელი ჯერ კიდევ შორსაა.

ისევ განაგრძეს გზა.

ტბორის მახლობლად გავლისას ბაყაყები აყიყინდნენ.

— შესანიშნავია! — აღტაცება ვეღარ დამალა სასახლის ბონზამ*.—ბოლოს და ბოლოს ვეღირსე და ბულბულის ხმა გავიგონე: რა საოცრად გალობს, თითქოს ვერცხლის ზანზალაკები აწკარუნდნენ ჩვენს სალოცავშიო.

— არა, ეს ბაყაყებია! — თქვა ისევ გოგონამ. — მაგრამ, მე მგონია, ახლა უკვე მალე გავიგონებთ თვითონ ბულბულის ხმასაც!

და აი, ბოლოს, მწვანე ტოტებში მართლაცდა საკვირველი გალობა გაისმა...

— აი, ეს არის ბულბული! — თქვა გოგონამ. — დაუგდეთ ყური! აი, თვითონ ისიც! — გოგონამ ტოტზე მჯდომ ნაცრისფერ პატარა ჩიტზე მიუთითა.

— პფ! — თქვა პირველმა მინისტრმა. — ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ეს სახელგანთქმული ჩიტი ასეთი უშნო შესახედავი იქნებოდა. ალბათ, ამდენი დიდებული ადამიანის დანახვამ შეაკრთო და ელფერი დააკარგვინა.

— ბულბულო! — ასძახა გოგონამ. — ჩვენს იმპერატორს შენი გალობის მოსმენა სწადია!

---

* ბონზა — ბუდისტების მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდად მოხარული ვარ! — მიუგო ბულბულმა და წარმტაცი გალობა დაიწყო.

— პფ, პფ! — თქვა პირველმა მინისტრმა. — შენი ხმა ისე რეკს, როგორც მინის ზანზალაკები იმპერატორის სააღლუმო ბალდახინზე. სასახლეში უდიდესი წარმატება მოგელის!

— იმპერატორს ვუმღერო? — იკითხა ბულბულმა. ალბათ ეგონა, რომ თვით იმპერატორიც იქ იყო.

— ყური მიგდე, ბულბულო, — უთხრა პირველმა მინისტრმა ბულბულს. — მისი უდიდებულესობა, იმპერატორი, დღეს საღამოს სასახლეში გიწვევს ნადიმზე. ეჭვი არაა, ამ წარმტაცი გალობით მოაჯადოვებ მის უდიდებულესობას.

— ჩემი გალობის მოსმენა გაცილებით უკეთესია აქ, მწვანე ტყეში, — უთხრა ბულბულმა, — მაგრამ მე სიამოვნებით გამოვფრინდები თქვენთან ერთად, თუ იმპერატორს ასე სურს.

ამ დროს სასახლეში დიდი მზადება იყო. ფაციფუცობდნენ, ნადიმის თადარიგს იჭერდნენ. ფაიფურის კედლებსა და მინის იატაკზე ასობით ათასი ოქროს პატარა ფარანი ელვარებდა. ტალანებში მწკრივზე ჩარაზმულიყო წარმტაცი ყვავილები, ხოლო იმ ყვავილებზე ჩამოკიდებული ზანზალაკები ხალხის აქეთ-იქით სირბილის, ფაცაფუცისა და გამჭოლი ქარის გამო ისე რეკდნენ, ადამიანის ხმა აღარ ისმოდა.

მოაწია საღამომ. იმპერატორი უზარმაზარი დარბაზის შუაგულში დაბრძანდა. ტახტის წინ ოქროს ჯოხი აღემართათ, მის წვერზე კი ბულბული ჩამომჯდარიყო. კარისკაცთაგან ყველა აქ იყო. სამზარეულოში მომუშავე ღარიბ გოგონასაც ბულბულის პოვნის ჯილდოდ კართან დადგომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება დართეს. პირველმა მინისტრმა იგი ლაიბ-მზარეულად დანიშნა. მონადიმენი ზიზილ-პიპილებით მორთულიყვნენ და პატარა ნაცრისფერ ჩიტს თვალს არ აშორებდნენ. იმპერატორმა თავი მოწყალედ დააქნია.

ბულბული ისე ნაზად, ისე წარმტაცად ამღერდა, რომ იმპერატორს თვალებში ცრემლი აუციმციმდა. მაშინ ბულბულმა კიდევ უფრო გაბედულად და ნაზად განაგრძო გალობა.

როცა გალობა დაამთავრა, იმპერატორმა ბულბულს უთხრა:

— ჯილდოდ ჩემი ოქროს ქოშები მიბოძებია და ახლავე კისერზე დაიკიდეო.

ბულბულმა მადლობა მოახსენა და უარი განუცხადა:

— მე იმპერატორის თვალებში ცრემლი შევნიშნე. სხვა არა მინდა რა, ჯილდოდ ესეც მეყოფაო.

კვლავ გაისმა ბულბულის ჯადოსნური ხმა.

— აჰ, რა წარმტაცია! — ვერ ფარავდნენ აღტაცებას სეფე-ქალები.

ამის შემდეგ სასახლეში ერთმანეთთან საუბრის დროს პირში წყალს იგუბებდნენ და ისე ლაპარაკობდნენ, რათა წყალს ყელში ერაკრაკა. ეგონათ, ამით ბულბულის გალობას ვბაძავთო.

ბულბული სასახლეში დატოვეს და ცალკე ოთახი მიუჩინეს.

დღეში ორჯერ და ღამეში ერთხელ აძლევდნენ ბულბულს გასეირნების ნებას. თორმეტი მსახური მიუჩინეს. ყოველ მათგანს ხელში ბულბულის ფეხზე გამობმული აბრეშუმის ბაფთის წვერი ეჭირა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა სიამოვნება უნდა ეგრძნო ბულბულს ასეთი გასეირნებით.

მთელი ქალაქი ალაპარაკდა. ყველას ამ ჩიტის სახელი

ეკერა პირზე. ქუჩაში რომ სამი ნაცნობი შეხვედროდა ერთ-მანეთს, ერთი მაშინვე იტყოდა: „ბულ“, მეორე — „ბუ“, ხოლო მესამე „ლი“-ს დაუმატებდა ხოლმე. მერე სამივენი, აქაოდა ერთმანეთს მივუხვდითო, ღრმად ამოიხვნეშებდნენ.

თერთმეტმა მედუქნემ თავიანთ ვაჟებს სახელად ბულ-ბული დაარქვა, მაგრამ არც ერთ ყმაწვილს სიმღერის სულ-მცირედი ნიჭიც არ გამოჰყოლია.

ერთხელ იმპერატორს იაპონიიდან აბრეშუმის ნაჭერში გამოხვეული პატარა ყუთი გამოუგზავნეს. ყუთზე ეწერა: „ბულბული“.

— უთუოდ ახალი წიგნი მიუძღვნეს ჩვენს სახელგანთქმულ ჩიტს! — თქვა იმპერატორმა.

ყუთი გახსნეს. შიგ წიგნი კი არა, შეღებილი კოლოფი აღმოჩნდა, კოლოფში კი ხელოვნური ბულბული იდო.

ის ძალიან ჰგავდა ნამდვილ ბულბულს, სულ მთლად შემკული იყო ძვირფასი ქვებით — ბრილიანტებით, ლალითა და იაგუნდით. საჭირო იყო მხოლოდ მომართვა და მაშინვე იწყებდა ერთ-ერთ იმ სიმღერას, რასაც ნამდვილი ბულბული მღეროდა, თან ოქროს კუდს ატრიალებდა. ჩიტს კისერზე ეკეთა ბაფთა. ბაფთაზე ეწერა: „იაპონიის იმპერატორის ბულბული ვერ შეედრება ჩინეთის იმპერატორის ბულბულს!“

— რა მშვენიერია! — შესძახა ყველამ, იმას კი, ვინც ეს ძვირფასი ჩიტი ჩამოიტანა, უმალვე „ბულბულით სასახლის მომმარაგებლის“ ხარისხი უბოძეს.

— ახლა ამ ბულბულმა და ჩემმა ნამდვილმა ბულბულმა ერთად იმღერონ, — გადაწყვიტა იმპერატორმა.

მაგრამ ეს საქმე არ მოეწყო: ნამდვილი ბულბული ახალ-ახალ სიმღერებს მღეროდა, ხელოვნური კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ხელოვნური ბულბული მარტო ამღერეს. სასახლის კარისკაცებს მისი სიმღერაც ისე მოეწონათ, როგორც ნამდვილი ბულბულისა, თანაც ახალი ჩიტი გაცილებით უფრო ლამაზი იყო — სულ მთლად ციმციმებდა.

ახალმა ბულბულმა ოცდაცამეტჯერ იმღერა ერთი და იგივე სიმღერა და მაინც არ დაიღალა.

სასახლის კარისკაცები მზად იყვნენ კიდევ მოესმინათ მისთვის, მაგრამ იმპერატორმა ბრძანა, ცოცხალი ბულბულიც უნდა ვამღეროთო. ყველანი შემობრუნდნენ და ოქროს ჯოხს მიაჩერდნენ, მაგრამ ბულბული იქ აღარ იყო.

არავის შეუნიშნავს, როგორ გაფრინდა ბულბული ფანჯრიდან და თავის მწვანე ტყეს მიაშურა.

— სად არის ბულბული? — შესძახა იმპერატორმა.

კარისკაცებმა ერთხმად დაუწყეს ლანძღვა-გინება ბულბულს და უმადური არსებაც კი უწოდეს.

— აქ უკეთესი ბულბული დაგვრჩა, — თქვეს იმპერატორის უახლოესმა ქვეშევრდომებმა.

ამის შემდეგ ხელოვნურ ბულბულს თოთხმეტჯერ მოუხდა ერთი და იმავე სიმღერის შესრულება.

„ბულბულით სასახლის მომმარაგებელი“ თავის ჩიტს აქებდა და ირწმუნებოდა, ნამდვილ ბულბულს ესა სჯობსო.

— რაც არ უნდა იყოს, ჩემო მბრძანებელო და მოწყალეო ბატონებო, — ამბობდა იგი, — წინასწარ ხომ ვერ შეიტყობ, რას იმღერებს ნამდვილი ბულბული, ხელოვნური ბულბულისა კი ყველაფერი წინასწარ იცი. შეიძლება კიდევაც დავშალოთ და ვნახოთ, როგორ არის შიგნით მოწყობილი, როგორ მოქმედებენ მისი ლილვაკები, ქანჩები და ზამბარები.

— სრული ჭეშმარიტებაა! — კვერი დაუკრეს კარისკაცებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერატორმა ბრძანა, მომდევნო კვირას ჩიტი ხალხისთვის ეჩვენებინათ.

— დაე, ხალხმაც მოუსმინოს მას! — თქვა იმპერატორმა.

ხალხმა მოუსმინა ხელოვნურ ბულბულს და ისე აღფრთოვანდა, თითქოს ჩაი დაელიოთ, — ჩინელებს ხომ ძალიან უყვართ ჩაი!

ყველა ერთხმად გაიძახოდა: „ო!“ სალოკ თითებს მაღლა სწევდნენ და თავს აქნევდნენ. მაგრამ ღარიბი მეთევზეები, რომლებსაც ნამდვილი ბულბულის გალობა მოესმინათ, ამბობდნენ:

— ხმა არ დაეწუნება. თითქმის ისევე მღერის, როგორც ჩვენი ბულბული, მხოლოდ ისეთი ხმა მაინც არა აქვს. რაღაცა აკლია, მაგრამ, სახელდობრ, რა, არ ვიცითო.

ამასობაში იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, რომ ნამდვილი ბულბული ჩინეთის იმპერიიდან განედევნათ.

ხელოვნური ბულბული თვით იმპერატორის საწოლის ახლოს, აბრეშუმის ბალიშზე იდო. გარშემო მისთვის ნაბოძები ძვირფასი ნივთები შემოელაგებინათ, კისერზე კი იმპერატორის ოქროს ქოშები ეკიდა. ხელოვნურ ჩიტს განსაკუთრებული სახელი დაარქვეს: „იმპერატორის მაგიდის მარცხენა მხარის პირველი ღამეული მომღერალი“. ეს სახელი იქიდან წარმოსდგა, რომ იმპერატორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორედ იმ მხარეს, სადაც გული იყო, მხოლოდ გული თვით ჩინეთის იმპერატორსაც კი მარცხენა მხარეს აქვს.

მეცნიერებმა ხელოვნურ ბულბულს ოცდახუთი წიგნი მიუძღვნეს. წიგნები სავსე იყო ყველაზე ბრძნული და გაუგებარი ჩინური სიტყვებით. სასახლის კარისკაცები ირწმუნებოდნენ, ყველა წიგნი წავიკითხეთ და ყველაფერი გავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთო. ასე რომ არ ეთქვათ, ხომ სულელებს დაუძახებდნენ და ქუსლებზე წკეპლას დაჰკრავდნენ.

ასე გავიდა მთელი წელი. იმპერატორმა, მთელმა სასახლემ და თვით ხალხმაც ხელოვნური ბულბულის სიმღერის ყოველი ჰანგი ზეპირად იცოდა. სწორედ ამიტომ უფრო მოსწონდათ მისი სიმღერა. ახლა თვითონაც შეეძლოთ ჩიტისათვის ბანი მიეცათ. ქუჩის ბიჭბუჭები მღეროდნენ: „ცი-ცი-ცი! კლიუკ-კლიუკ-კლიუკ! კლიუკ-კლიუკ!“

ერთ საღამოს ხელოვნური ჩიტი იმპერატორს უგალობდა. იმპერატორი ლოგინზე იყო წამოწოლილი და ყურს უგდებდა. უცებ ჩიტის შიგნით რაღაცამ დაისისინა, დაიზუზუნა და სიმღერა შეწყდა.

იმპერატორი წამოიჭრა და კაცი აფრინა თავის ლაიბმკურნალთან, მაგრამ მკურნალი რას უშველიდა? მას ხომ მარტო ცოცხალი ადამიანების მორჩენა შეეძლო? მაშინ მესაათეს გამოუძახეს. მესაათემ ჩიტს მუცელი გაუხსნა, დიდხანს ათვალიერებდა, რაღაც წვრილმან ქანჩებს უჭერდა, მერე თქვა — ჩიტი იმღერებს, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა მოექცეთ: პატარა კბილანები მოცვეთილი აქვს, ახლის ჩადგმა კი შეუძლებელიაო.

იმპერატორმა ახალი ბრძანება გამოსცა: „იმპერატორის მაგიდის მარცხენა მხარის პირველი ღამეული მომღერლის“ მომართვა შეიძლება წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ისიც მცირე ხნით!“

კიდევ ხუთი წელიწადი გავიდა. ერთხელ იმპერატორი ავად გახდა. ექიმები შეთანხმებულებივით ამტკიცებდნენ, აუცილებლად მოკვდებაო. მინისტრები და კარისკაცები ახალი იმპერატორის გამოსაცხადებლად ემზადებოდნენ. ხალხი ქუჩებში თავს იყრიდა და პირველ მინისტრს ეკითხებოდა მოხუცი იმპერატორის ჯანმრთელობის ამბავს.

— პფ! — მიუგებდა ხოლმე პირველი მინისტრი და თავს აქნევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერატორი ფერწასული და გაციებული იწვა თავის დიდებულ სარეცელზე. კარისკაცები უკვე მკვდრად თვლიდნენ. ყოველი მათგანი ისწრაფვოდა თაყვანი ეცა ახალი იმპერატორისათვის. მსახურები წინ და უკან დარბოდნენ სასასახლეში და უკანასკნელ ახალ ამბებს გებულობდნენ, მოახლეები კი ჩაის შეექცეოდნენ, ან ლაყბობით იყვნენ გართულნი. ყველა დარბაზსა და ტალანში ხალიჩები დააგეს, რომ იმპერატორი ნაბიჯების ხმას არ შეეწუხებინა. სასახლეში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

მოხუც იმპერატორს ჯერ კიდევ ედგა სული. ფანჯარა ღია იყო. ნათელი მთვარე დანათოდა იმპერატორსა და მისი სარეცლის მახლობლად აბრეშუმის ბალიშზე დადებულ ხელოვნურ ბულბულს.

საბრალო იმპერატორს სუნთქვაც კი უმძიმდა. ეჩვენებოდა, თითქოს გვერდით ვიღაცა ეჯდა. თვალები გაახილა და დაინახა: გულზე სიკვდილი აჯდა. დაუპატიჟებელ სტუმარს თავზე იმპერატორის გვირგვინი ედგა, ცალ ხელში იმპერატორისავე ოქროს ხმალი ეპყრა, მეორეში — საიმპერატორო დროშა. ირგვლივ, ბალდახინის ყველა ნაოჭიდან, თავები გამოეყოთ რაღაც უცნაურ არსებათ: ერთნი საზიზღარნი და ძრწოლვის მომგვრელნი იყვნენ, მეორენი კი — ლამაზნი და კეთილნი, მაგრამ საზიზღრები ჭარბობდნენ. ესენი იმპერატორის ავი და კეთილი საქმეები იყვნენ, ისინი შესცქეროდნენ იმპერატორს და თან რაღაცას ჩურჩულებდნენ.

— გახსოვს თუ არა ეს? — ჩურჩულებდა გაავებული თავი.

— აი, ეს თუ გახსოვს? — ჩურჩულებდა მეორე.



თავები იმდენ სიავეს ეუბნებოდნენ იმპერატორს, რომ საბრალო მომაკვდავს დანაოჭებულ შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— ეგ აღარ მახსოვს, — ამბობდა პასუხად იმპერატორი, — ეგ კი არასოდეს არ გამიგონია.

ბოლოს იყვირა:

— მუსიკა! მუსიკა მომგვარეთ! დაჰკარით დიდ ჩინურ დოლს! არ მინდა ამათ ყვედრებასა და საყვედურებს მოვუსმინო!

თავები მაინც არა ცხრებოდნენ, ხოლო სიკვდილი ყოველ მათ სიტყვაზე ჩინელივით აქნევდა თავს.

— მუსიკა აქეთ, მუსიკა! — ყვიროდა იმპერატორი. — შენ მაინც იმღერე, ჩემო სახელოვანო ფრინველო! მე ხომ ოქროთი და ძვირფასი განძეულობით დაგასაჩუქრე, კისერზე ჩემი ოქროს ქოშები დაგკიდე. იმღერე, იმღერე!

მაგრამ ჩიტი დუმდა: არავინ იყო მომმართველი, მოუმართავად კი ხელოვნურ ბულბულს გალობა არ შეეძლო. სიკვდილი დიდრონი, ჩაღამებულ თვალთა უპეებით მისჩერებოდა იმპერატორს.

უცებ ფანჯრის გადაღმა წარმტაცი გალობა გაისმა. ნამდვილ ბულბულს იმპერატორის ავადმყოფობა გაეგო და სნეულის სანუგეშებლად და გასამხნევებლად მოფრენილიყო. უსმენდა იმპერატორი ბულბულის ტკბილ ჰანგებს და ავი მოჩვენებები თანდათან იფანტებოდნენ. გულში სისხლმა ჩქროლა უწყო. თვით სმენადამტკბარი სიკვდილიც გატაცებით უსმენდა გალობას და თან სულ იმეორებდა:

— კიდევ, კიდევ იგალობე, ჩემო ბულბულო!

— რომ გიგალობო, იმპერატორს დაუბრუნებ თავის ძვირფას ხმალს, დროშასა და გვირგვინს? — შეეკითხა ბულბული.

სიკვდილმა იმპერატორს ერთიმეორის მიყოლებით დაუბრუნა წანართმევი განძეული, ბულბული კი ტკბილ გალობას განაგრძობდა. აი, მან მოიგონა მდუმარე სასაფლაო, სადაც ჰყვავის ქამენია, სურნელებას აფრქვევენ თეთრი ვარდები და ბალახს მგლოვიარე ადამიანთა ცრემლი ეპკურება. სიკვდილს ისე მოუნდა სასაფლაოზე დაბრუნება, რომ თეთრსა და ცივ ნისლში გაეხვია და ფანჯრიდან გაფრინდა.

— მადლობელი ვარ, ჩემო კარგო ჩიტო! — მიმართა ბულბულს იმპერატორმა. — ოდესღაც მე უბედურმა ჩემი მიწა-წყლიდან გაგაძევე, ახლა კი შენ ეს საშინელი მოჩვენებანი მომაშორე, თვით სიკვდილიც განდევნე. მითხარ, რით დაგასაჩუქრო?

— შენ ერთხელ უკვე დამასაჩუქრე. როცა პირველად გიგალობდი, თვალებში ცრემლი შეგნიშნე. ის ცრემლი მე არასოდეს დამავიწყდება, ცრემლი ყველაზე უფრო დიდი ჯილდოა მომღერლისათვის.

ბულბულმა კვლავ დაიწყო სიმღერა. იმპერატორს ჯანსაღად და ღრმად ჩაეძინა.

როცა გამოეღვიძა, ფანჯარაში მზე ანათებდა. არც ერთი მინისტრი და კარისკაცი არ მოდიოდა თავისი იმპერატორის სანახავად. ეგონათ, უკვე გარდაიცვალაო. მხოლოდ ბულბული იჯდა ფანჯარასთან და გალობდა.

— ჩემთან დარჩი სამუდამოდ, — სთხოვა ბულბულს იმპერატორმა. — მხოლოდ მაშინ მიმღერებ, როცა მოგესურვება. ხელოვნურ ჩიტს კი ნამსხვრევებად ვაქცევ.

— არ მინდა, — მიუგო ბულბულმა, — ის ისე გემსახურებოდა, როგორც შეეძლო. დაიტოვე, შენთან იყოს. მე სასახლეში ცხოვრება არ შემიძლია. ხანდახან როცა მომესურვება, მოვფრინდები და გიმღერებ ბედნიერებისა და უბე-

დურების, სიკეთისა და ბოროტების ჰანგებს. ყველაფერზე გიმღერებ, რაც შენ გარშემო ხდება და რაც შენ არ იცი. ვა-ტარა ბულბული ყველგან დაფრინავს. ის შეფრინდება ხოლმე სასახლიდან დაშორებულ მებადურეებისა და გლეხების ქოხებში, იცის მათი ამბავი. მე მოვფრინდები და გიმღერებ მათ შესახებ, მაგრამ შემპირდი, რომ...

— ყველაფერს შეგისრულებ, რასაც კი ისურვებ! — წამოიძახა იმპერატორმა და წამოდგა. მას უკვე მოესწრო მეფური ტანსაცმლის ჩაცმა და ოქროს მძიმე ხმალს გულში იკრავდა.

— სიტყვა მომეცი, რომ არავის ეტყვი ჩემს ამბავს, მე კი მოვფრინდები და ყველაფერს გიამბობ ხოლმე, ასე უკეთ წარიმართება საქმეები.

ამ დროს კარისკაცები შემოვიდნენ. უნდოდათ მკვდარი იმპერატორისათვის დაეხედათ, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! ცოცხალი, ჯანმრთელი იმპერატორი პირველი მიესალმა შემოსულთ:

— დილა მშვიდობისა!

1843



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ხალხნო და ჯამაათნო! 5
მელია და ცხვარი 7
გზა სიმართლისა 12
ბულბული და სვავი 27
ძაღლის კუდი 40
მგელი და ბატკანი 55
გუგული და ჭინჭრაქა 67
სიმართლე და სიცრუე 73
ბულბული 82

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი რ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
მხატვარი დ. ზარაფიშვილი
მხატვ. რედაქტორი ი. ქლიბაძე
ტექრედაქტორი ო. პირველი
კორექტორი ლ. სულთანიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/I-66 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 6,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,8
უე 02206 ტირაჟი 25.000 შეკვ. № 5319
ფასი 12 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Абрамиа Полио Ермолаевич
СКАЗКА ЗИМНЕЙ НОЧИ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Н а к а д у л и»
Тбилиси
1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ახალი წიგნები:

მ. გრეგორი — ხიდი

მ. კარასლავოვი — ლენკო

მ. ლეგანიძე — წერილები ჩემი კოუშკებიდან

გ. მიხასენკო — კანდაურელი ბიჭები

ბ. რიაბინინი — ჩემი მეგობრები

მუსთაი ქარიმი — სამფეხა

მალე ეს წიგნებიც გამოვა:

ო. იოსელიანი — ოქროსფერი და ქორისფერი ქორა

რ. ქორქია — ყველგან შინა ვართ

ს. ქეთელაური — სამი ბიჭი

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი — ადამიანთა მიწა

პ. ბოგბევი — თეთრი ლოცვანი

მ. მეტერლინკი — ლურჯი ფრინველი

Ж.144/101